№ 2875
შაბათი,
30 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2875
შაბათი,
30 ივლისი

ეროვნული

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 10 თვით 5 მან. 75 კაპ. 11 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ თან **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **ხურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

დიდის სიმწუხარით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ მშობლები **დავით ლევანის ძე და ალექსანდრა მიხეილის ასული, ძმა ლევანი და დები ლიზა, ლიდია და ლილი** ლოლობერიძენი საყვარლის

გესიკოს,

რეალურ სასწავლებლის მეოთხე კლასსის მოწაფის გარდაცვალებას სოფელ აშტარაკში 26 ივლისს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, მიცვალებულის გვამის გორა-ჯიხაიში გადმოსვენების შემდეგ. (2—302—2).

შექსპირის თხზულებანი **ივ. მაჩაბლის** მიერ ნათარგმნი.
„რიჩარდ", „მაკბეტ", „კორიოლან", „იულიუს კეისარი", „ანტონი და კლეოპატრა", „ოტელო" თვითო წიგნაკებად იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია, განდეგილის თარგმანი **„ვაი ჭკუისაგან"** (დრამატიულ საზოგადოების გამოცემა). (3—უ.—2)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—68)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ თუ ისინი, ვისზედაც ირიცხება ქალაქის **დასაფასებელ გადასახადის ნედოიმკები,** ფულს არ შეიტანენ ამა წლის 10 აგვისტომდე, ქალაქის გამგეობა იძულებული იქნება ფულის შესაკრებად მიჰმართოს სასტიკ ზომას. (ნ. 2—1)

„ქართულ დრამის ამხანაგობის გამგეობა" ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 ივლისს დილ. 10 საათ. დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა კრება.

განსახილველი საგნები:

1. $190^4/_5$ წლის სეზონის ანგარიშის განხილვა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ლიკვიდაცია ამხანაგობისა. (ნ. 3—2)

კვირას, 31-ს ივლისს დანიშნულია უკანასკნელი **კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა,** რასაც გამგეობა აუწყებს თავის წევრთ, ქარხნის მეტად უხერხულ მდგომარეობის გამო უეჭველად დაესწრონ დანიშნულ კრებას. (2—2)

გრილი რესტორანი ბაღით
„კავკაზი"
(მეორე სადგ. ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—5).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა ხამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდროვის ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—4)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—9. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
28 ივლისი.

პარიზი, 28 ივლისი. ვიტტე გუშინ მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდა სხდომიდან. ის გარემოება, რომ იაპონელებმა რწმუნება არ წარადგინეს, კრიტიკას იწვევს. პირველმა სხდომამ რუსთა და იაპონელთა წრეებზე უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ამ სხდომასაც შედეგი არა მოჰყოლია. იაპონელები აცხადებენ, იაპონია სულ მცირედ ორ მილიარდსა და სახალინის დათმობას მოითხოვს. ვიტტემ გამოაცხადა, თუ იაპონელები ბეჯითად მოითხოვენ ამ პირობის შესრულებას, ყოველი იმედი გაქრება ზავის ჩამოგდებისაო. ტოკიოში კმაყოფილნი დარჩნენ იაპონიის რწმუნებულთა მიღებით. სამშვიდობო კონფერენციის შედეგებს ტოკიოში ოპტიმისტურად უცქერიან.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. იაპონიის პარლამენტის წევრმა მაცუმატომ, რომელიც ნიუ-იორკშია, სთქვა, რომ იაპონია რუსეთისაგან მოითხოვს ფულს, კუნძულ სახალინისა, ნახევარ კუნძულ ლიაოდუნისა და მანჯურიის რკინის გზის დათმობას; აგრეთვე იმას, რომ ვლადივასტოკი ყველასათვის ღია იყოს, ხოლო მანჯურიაში ყველას შეეძლოს ვაჭრობაო. კომურას ამალის ერთმა წევრმა სთქვა, რომ ჯილდო 200 მილიონი გირვანქა სტერლინგი ბევრი არ იქნებაო.

ნიუ-კასლი, 28 ივლისი. რუსეთის ერთმა დელეგატმა უთხრა პრესსის წარმომადგენელს: ჩვენ ვერ დავთანხმდებით კონტრიბუციის გადახდას, მაგრამ იმ ზარალის გადახდის დროს, რომელიც იაპონიას მოუვიდა რუსის ტყვეების შენახვით, მზა ვართ ბევრი დავუთმოთ იაპონიასაო.

პარიზი, 28 ივლისი. ელიან, რომ ამერიკის საფინანსო წრეები ჩინეთს წინადადებას მისცემენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს შემდეგში მანჯურიის რკინის გზის საქმე. შუამავალნი ყოველს ღონეს ხმარობენ, რომ უფრო დააახლოვონ ჩინეთისა და ამერიკის მთავრობა.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. „უენტვორტის" სასტუმროზე, სადაც დელეგატები სცხოვრობენ, ფრიალებდა რუსეთისა და იაპონიის დროშები. ვიტტემ განაცხადა, რომ იაპონიის დროშა უფრო თვალსაჩინოაო. ამის გამო პორტ-სმუტში გაგზავნილმა პირსმა განკარგულება მოახდინა, ჩამოეღოთ ორივე დროშა.

ინკოუ, 27 ივლისი. მიშჩენკოს ცხენოსანი ჯარი განაგრძობს მოქმედებას აღმოსავლეთ მონგოლიაში. ამ ჯარმა სცადა იერიშის მიტანა იაპონელთა მარცხენა ფრთასა და ზურგზე.—35 ხუნხუზს უნდოდა ცეცხლი წაეკიდებინა იაპონელთა სურსათის საწყობისთვის ინკოუში, მაგრამ მოკლულ იქნენ.

მოჯი. ფიქრობენ, რომ მდ. ტუმენზე რუსეთს 50,000 სალდათი ჰყავს. ელიან, რომ ამ ცოტა ხანში ბრძოლა მოხდება ფურიანგისა და ხერიანგის მიდამოებში; ამასთან რუსები ეცდებიან დაიცვან მდინარე ტუმენი და ის გზა, რომელიც ჩანჩუნ-გირინისკენ მიდის.

შანხაი, 27 ივლისი. როგორც ხენანის პროვინციის ქალაქ კაიფინფუდან იუწყებიან, ამ ოლქში აჯანყებულა ჩინეთის საიმპერატორო ჯარი. ჯარი შეერთებია იმ მოძრაობას, რომელიც ქრისტიანების წინააღმდეგ მოქმედებს. მეამბოხე 20,000 კაცამდეა. ამათ დაიჭირეს სუინძი. მთავრობა ჯარსა ჰგზავნის ამბოხების ჩასაქრობად.

ლონდონი, 28 ივლისი. „დეილი-ტელეგრაფი" ოფიციალურად იუწყება საუბარს ვიტტესთან. ვითომ რუსეთი თანხმდებოდეს იაპონიის პროტექტორატს კორეიაში, უკეთუ რუსეთის საზღვარზე ციხეები არ იქნება და რუსებსაც იგივე უფლებები მიეცემათ, რაც დანარჩენ ევროპიელებს. რუსეთი დაუთმობს პორტ-არტურს, დალნის, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულსა და მანჯურიის სამხრეთ ოლქებს, რომელიც იაპონელებმა დაიჭირეს; დაუთმობს რკინის გზასაც. ამასთან რუსეთი მისცემს იაპონიას, რამდენსამე მნიშვნელოვან კონცესიას; მაგალითად, თევზების ჭერის ნებას დართავს სახალინის ნაპირებზე. თუ იაპონია კონტრიბუციას და სახალინს მოითხოვს, ზავის ჩამოგდება საეჭვო იქმნება.

კოვნა, 28 ივლისი. გუშინ კათოლიკეთა სასაფლაოზე დაასაფლავეს ორი მსხვერპლი მთვრალ დრაგუნის მოკლულნი. სიტყვები წარმოსთქვეს პოლიანურ, ლიტვურ და ურიულ ენებზე. დიდ-ძალი მუშა ურია მოვიდა ქრისტიან მუშებისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. მიღებულ ღონისძიების წყალობით, ინციდენტი არა მომხდარა-რა.

პეტერბურგი. პუტილოვის ქარხნის მუშები თანდათან მუშაობას შეუდგნენ. მრავალ გაფიცვის შემდეგ, 28 ივლისს აქ უკვე 3 ათასი კაცი მუშაობდა. საზოგადოების გამგეობამ რიგ-რიგით ჰხსნის სახელოსნოებს და იმედი აქვს, რომ 15 აგვისტომდე ქარხანაში მუშების სრული რიცხვი—13 ათასი კაცი—იმუშავებს. ყველა მუშას წინანდელ პირობით იღებენ; ქარხანაში შინაგანი წესიც წინანდელი დარჩება. გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ ქარხნის დირექტორი გამოცვლილსო, საფუძველს მოკლებულია.

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სამინისტროს საქალებო სასწავლებლებში ექიმების ადგილებზე, შეძლების დაგვარად, ექიმი-ქალები უნდა ინიშნებოდნენ ხოლმეო. პეტერბურგის საიმპერატორო ბუნების მეტყველთა საზოგადოებამ შუამავლობა აღძრა, რომ 1910 წელს პეტერბურგში საერთაშორისო ბოტანიკური კონგრესი შეიკრიბოს.

კრონშტადტი, 28 ივლისი. დღეს მოვიდნენ საიგონიდან გერმანიის გემები „ბენნა" და „ტოტტი" სახელმწიფო ტვირთით.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
28 ივლისი

პორტ-სმუტი. იაპონიის რწმუნებულთა კომურასა და ტაკახირას სახელით სატო აცხადებს, რომ დღევანდელ სხდომას არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა; მისი საგანი იყო საქმის წარმოების რიგის შემუშავება. ოფიციალური სხდომები ხვალ დაიწყება და გაგრძელდება ხოლმე დილის 9½ საათიდან 12½-მდე და ნაშუადღევს 3-დან 5-მდე ან 6-მდე. რწმუნებულნი მეტად კმაყოფილნი არიან, რადგან პირველს სხდომაზე გულითადი განწყობილება დამყარდა რუსთა და იაპონელთა შორის. რწმუნების ქაღალდი მარტო ვიტტემ წარმოადგინა; კომურამ ზეპირად გადასცა რუსეთის რწმუნებულთ თავის რწმუნების ქაღალდის შინაარსი და წინადადება მისცა კოპიოს დაიბარებო. ვიტტემ უპასუხა, კოპიოს წარმოდგენა ხვალაც შეიძლებაო. კომურას ახსნიდანაც სჩანს, რომ იაპონელთაც დასაკმაყოფილებელი რწმუნება აქვთ. შეთანხმდნენ, რომ ოქმებს ფრანგულად და ინგლისურად შეადგენენ; კონფერენციის ძირითად ენად ფრანგული იქმნა აღიარებული. პრესსას ცნობებს მიაწვდიან ორისავე მხარეს თანხმობით. ირწმუნებიან, რომ დღემდე რწმუნებულთა ინსტრუქციები მათ საიდუმლოებას შეადგენენ, სხვამ არაფერი იცის.

პორტ-სმუტი. ვანნიდან გამოსვლის დროს ვიტტეს ძარღვი გაუქიმა მარცხენა ფეხის მუხლის ქვეშ და ამიტომ იძულებულია ჯოხის შემწეობით იაროს; ტკივილებს არ გრძნობს, მხოლოდ ოდნავ კოჭლობს.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. „ჰერალდ"-ს აუწყებენ პორტ-სმუტიდან, როგორც ნახევრად-ოფიციალურ წყაროებიდან სჩანს, ჩქარა ისეთი ხელშეკრულობა ჩამოვარდება, რომლის ძალით იაპონიას დაეკისრება ფორმალური წარმომადგენლობა ჩინეთის ინტერესებისაო. ამბობენ აგრეთვე, რომ რუზველტმა იცის იაპონელების მისწრაფება: „აზია აზიელებს"-ის პრინციპის განხორციელებისაკენო. იაპონია დაუკავშირდება ჩინეთსო. „ჰერალდ"-ის სიტყვით, პორტ-სმუტში ისე გამწვავებული ყოფილა გუშინ დამოკიდებულება, რომ კინაღამ შეუწყვეტია იაპონიას მოლაპარაკება, მაგრამ ბოლოს უკანასკნელს შეუცვლია თავისი მოთხოვნები.

პორტ-სმუტი. კერძო ბაასის დროს ვიტტემ მტკიცედ განაცხადა, რომ იგი არ დაეთანხმება კონტრიბუციის მიცემას. იაპონიის წყაროებიდან იუწყებიან, რომ იაპონიის მოთხოვნების მინიმუმი 600-დან 800 მილ. დოლარამდეა სამხედრო ხარჯის ასანაზღაურებლადო. ჰფიქრობენ, რომ რუსები სახალინის მიტოვებით დააკმაყოფილებენ იაპონელებსო. რუზველტმა აცნობა, რომ ორივე მხარის რწმუნებანი საკმაოაო. 27 ივლისს ვიტტემ და რუსების დელეგატებმა სადარბაზო ბარათები გაუგზავნეს კომურას და იაპონიის დელეგატებს.

ბერლინი, 28 ივლისი. „ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტს უმუსაიფნია ნიუკესტლში რუსებისა და იაპონიის დელეგატებთან და ის შთაბეჭდილება გამოუტანია, რომ იპოვნიან ბაზას შეთანხმებისთვისო.

კოვნო, 28 ივლისი. „კოვნოს ტელეგრაფ"-ში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი ციხის კომენდანტისა: „25 ივლისს, ჩემს ციხეში არ ყოფნის დროს, სამწუხარო ამბავი მოხდა. მუშების ჯგუფმა გააბრაზა შემთხვევით გამვლელი სამი დრაგუნი. ქვები დაუშინა და ერთი მათგანი, საუბედუროდ მთვრალი, იქამდისინ გააბოროტა, რომ მან სამჯერ გაისროლა თოფი. უდანაშაულო მსხვერპლი შეიქნა ორი მოკლული და ერთი ქალი დაჭრილი. სასამართლოს საქმეა, გაარჩიოს მსროლელ ჯარის-კაცის საქმე და დასაჯოს დამნაშავენი, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩემის განკარგულებისა, მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა ნება მისცა თავის თავს შეკრებილიყო, დაერღვია საზოგადოებრივი წესიერება, ამას გარდა გააბრაზა ჯარის კაცები ქვების სროლით. ციხეში საზოგადოებრივ წესიერების მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. ხალხის ყოველგვარი ძალადობა და კანონიერ მოთხოვნილებათა არ ასრულება იარაღის შემწეობით იქნება ჩაქრობილი".

ჟურნალ-გაზეთებიდან

იქნება ზავი თუ არა. თუმცა იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულები ერთმანეთს შეხვდნენ კიდევაც, მაგრამ მაინც ბევრს არა სჯერა, რომ მომავალი მოლაპარაკება შერიგებით დასრულდეს.

ფრანგულ გაზეთების პეტერბურგელი კორესპონდენტები ერთხმად ირწმუნებიან, ზავის იმედი მეტად მცირეა და რუსეთში ომის მომხრე პარტიამ გაიმარჯვაო. „მატენ"-ის კორესპონდენტი კიდევ ერთხელ ირწმუნება, ომის მომხრე პარტიის გაძლიერება იმპერატორების შეხვედრას მოჰყვა შედეგადაო.

რუსული და უცხოეთის პრესა თან და თან იმ აზრს ადგება, რომ ვილჰელმ II ნამდვილად ომის გაგრძელებას ურჩევდა რუსეთსაო, ამ რჩევამ ფრთები შეასხა რუსეთის სამხედრო პარტიას და ამიტომ ეხლა საეჭვოა, რომ რუსეთმა თავისი თავი დამარცხებულად აღიაროს და იაპონიის პირობას დასთანხმდესო.

მაგრამ ზოგი ფიქრობს, იქნება გერმანიის იმპერატორის რჩევამ არ გასჭრას, რადგან თუ რუსეთს გერმანია ჰპირდება მეგობრულ დახმარებას, იაპონიას უფრო მძლავრი მოკავშირე ჰყავს და ინგლისი ადვილად გააქარწყლებს გერმანიის ვერაგულ მეცადინეობას, მით უმეტეს, რომ რუსეთის მოკავშირე საფრანგეთიც ბოლოს დროს თითქმის გადუდგა, უფრო ინგლისს ემხრობა და რუსეთის მთავრობას ბეჯითად ურჩევს შერიგებას. ამას გარდა, არც ისეთი დალაგებული და გონიერი პოლიტიკოსი, როგორიცაა პრეზიდენტი რუზველტი, გვერიოდა საქმეში, რომ შერიგების იმედი არა ჰქონდეს. უეჭველია, რუზველტმა ჯერ იაპონიისა და რუსეთის პირობები შეიტყო, იმათი შეთანხმება შესაძლებლად სცნა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა შუამავლობას. არც თითონ რუსეთი და იაპონია გაჰგზავნიდნენ თავიანთ რწმუნებულებს ამერიკაში, შერიგება რომ შესაძლებლად არ მიაჩნდეთ.

რომელი აზრი უფრო მართალია ამათში, ამასაც მალე გავიგებთ. („ო. ნ.").

იაპონიის პოლიტიკურ პარტიების საზავო პირობა. ამას წინად ტოკიოში ორი გავლენიანმა პარტიამ—სეიუკაიმ და შიმპო-ჰომ—კრება მოახდინა და რუსეთთან ზავის პირობაზე მოილაპარაკა. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი იუწყება: სეიუკაის პარტიამ დაადგინა:

„ამ ჟამად, როცა ზავზე მოლაპარაკება უნდა გაიმართოს, ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებით აღვნიშნოთ საზავო პირობა, მაგრამ მაინც აუცილებლად ვსთვლით შემდეგს: ადგილის შეძენას რუსეთისაგან, სამხედრო საზღაურის აღებას და კორეისა და მანჯურიის საქმეების საბოლოოდ გადაწყვეტას, რომ იაპონიის ინტერესები და უფლება საბოლოოდ უზრუნველვყოთ და შორეულ აღმოსავლეთში მკვიდრი ზავი დამყარდეს, როგორც ეს აღთქმული იყო იმპერატორის პროკლამაციაში ომის გამოცხადების დროს".

მეორე პარტიამ შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: „ზავის აღსადგენად რუსეთმა უნდა უზღოს სამხედრო ხარჯები იაპონიას. იაპონიამ რუსეთისაგან ადგილი უნდა შეიძინოს საკმაო სივრცისა, რომ ამით შორეულ-აღმოსავლეთში მკვიდრი ზავი და მომავალი იაპონიის უშიშროება უზრუნველყოს. რუსეთს უნდა აეკრძალოს ისეთი სიმაგრეების აგება, რომლებიც იაპონიის უშიშროებას საფრთხეში ჩააგდებენ. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ იაპონიის პროტექტორატი კორეიაზე და იმისი გავლენა მანჯურიაში, ხოლო ამისათვის რუსეთი უარი უნდა სთქვას იმ განსაკუთრებულ უფლებაზე, რომელიც მიითვისა ამ ორ ქვეყანაში. რუსეთს აუცილებლად უნდა მოსთხოვოთ, რომ ჩინეთის ოლქების მოტაცებაზე ხელი აიღოს, რადგან ჩინეთს არ შეუძლიან თავისი თავი თითონ დაიცვას ამგვარ მოტაცებისაგან."

რასაკვირველია, ჯერ შეუძლებელია იმისი თქმა, თუ რამდენად ეთანხმება ეს პირობები იაპონიის მთავრობის პირობებს, მაგრამ რაღა თქმა უნდა, იაპონიის მთავრობა ამ პარტიების მოთხოვნილებებსაც ანგარიშს გაუწევდა. („ს. ო.").

რა პირობებს ეთანხმება რუსეთი? „ნ. ვ. ტაგებლატ"-ი ფიქრობს, რუსეთი დაახლოვებით შემდეგ პირობას დასთანხმდება: 1. მანჯურია ჩინეთს დაუბრუნდეს, 2. იჯარის უფლება ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის, პორტ-არტურითა და დალნით, იაპონიას გადაეცეს, 3. სახალინი იაპონიას დაეთმოს, 4. კორეის იაპონიის პროტექტორატი დაუწესდეს, 5. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა იაპონიის მმართველობას ქვეშ გადავიდეს, მაგრამ ჩინეთის საკუთრებად გახდეს.

სამხედრო კონტრიბუციაზე ამნაირად მორიგდებიან: 1. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა ჩინეთს გადაეცემა, 2. ჩინეთს გადაეცემა აგრეთვე რუსეთის მიერ აღებული რკინის გზისა და სხვა კონცესიები, 3. ამ დათმობისათვის ჩინეთის ხაზინა იაპონიას იმდენ ფულს გადაუხდის, რამდენიც დათმობილი რკინის გზა და კონცესიები ეღირება. („ო. ნ.").

გერმანულ გაზეთის აზრი ჰკუაში არ მოსდით რუსულ „პატრიოტულ გაზეთებს". „რუსეთი არც კონტრიბუციას გადაიხდის, არც სახალინს დაუთმობს იაპონიასაო, დაჟინებით გაიძახიან გაზეთები, თითქო გამარჯვებული რუსეთი იყოს და არა იაპონია. („ო. ნ.").

„ტაირო დასიკაის" ლიგის" დადგენილება. თუ რუს „პატრიოტებს" არა ჰსურთ ზავის ჩამოგდება და რუსეთის მომავალი გამარჯვება სწამთ, არც თუ იაპონელ პატრიოტებს მოსდით ჰკუაში ზავი და რუსეთთან შერიგება უდროვოდ მიაჩნიათ. იაპონური გაზ. „კოკუმინ"-ი იუწყება: რუსეთის წინააღმდეგმა „ტაირო დასიკაის" ლიგამ, შვიდ ტოკიოელ პროფესორის მეთაურობით, კრება მოახდინა მრავალ ხალხის თანადასწრებით და დაადგინა: მთავრობას შევეკითხოთ, რამ გამოიწვია ხალხისათვის გაუგებარი სურვილი რუსეთთან შერიგებისა. იაპონიის ზნეობრივი და ფი-

ნანსიური მდგომარეობა იმდენად ბრწყინვალეა, რომ შემდეგშიაც იაპონია გაიმარჯვებს. ჩვენ სრულს მოწონებასა და ნდობას ვუცხადებთ სამხედრო და საზღვაო სამინისტროს მოქმედებას, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროსას, რომელმაც მარჯვედ გამოსცა შინაგანი და გარეშე სესხები და შინაც მრავალი საფინანსო ღონისძიება მიიღო, მაგალითად რამდენიმე, ახალი გადასახადი დააწესა, იმნაირად რომ ხალხი ძლიერ არ შეწუხებულა. მაგრამ გარეშე საქმეთა სამინისტროს კი გაკიცხვას ვუცხადებთ, რადგან, ეს სამინისტრო ნამეტან მეგობრობას იჩენდა ყველა უცხო სახელმწიფოსთან და ეხლაც ევროპის სახელმწიფოთა საერთო სურვილის ასასრულებლად ომის მოსპობა მოინდომა სწორედ იმ დროს, როდესაც მრავალ ახალ დიდ გამარჯვებას ველოდით, ხოლო ეს გამარჯვება იაპონიის მომავალ აყვავებას აზიის ხმელეთზე სამუდამოდ უზრუნველ ჰყოფდა და რუსეთს სამუდამოდ ხელს აალებინებდა შორეულ აღმოსავლეთზე.

რუსისა და იაპონელ პატრიოტებ შუა ის დიდი განსხვავებაა, რომ იაპონელ პატრიოტების ქადილსა და მოთხოვნილებას გაცილებით მეტი ძალა შესწევს და გაცილებით მეტი საბუთი ამართლებს. („ო. ნ.“).

რამდენი ჯარი ჰყავთ რუსეთსა და იაპონიას მანჯურიაში. 26 ივლისს წელიწად ნახევარი, 18 თვე, შესრულდა, რაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. ამ 18 თვის განმავლობაში გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი და ამავე გაზეთის სამხედრო კორესპონდენტად ნამყოფი ომის ასპარეზზე, ცნობილი პოლკოვნიკი გედკე ბეჯითად ამტკიცებს, რომ რუსეთი უსათუოდ დასძლევს იაპონიას, რუსის მთავარ-სარდალი აუცილებლად დაამსხვრევს და შემუსრავს იაპონელ მთავარსარდლის ჯარსაო. სრული 18 თვეა გედკეს წინასწარმეტყველება მწარედა და უწყალოდ ცრუვდება, მაგრამ ლიაოიანმა, პორტ-არტურმა, მუკდენმა და ცუსიმამ მაინც ვერ ასწავლეს ჭკუა რუსეთის ერთგულს პოლკოვნიკს და გედკე დღესაც ავტორიტეტულადა და რიხიანად ამტკიცებს „ბერლინერ ტაგებლატ“-ში, რომ იაპონიის ჯარის გამარჯვება უბრალოდ გააზვიადეს და რუსის მთავარ-სარდალს დღეს მეტი შანსი აქვს გამარჯვებისა, ვიდრე იაპონელ მთავარ-სარდალსაო. გედკე სწერს: მხოლოდ მანჯურიის მეხუთედი ნაწილია იაპონელების ხელში, რუსებს ჯერ ჩრდილოეთ კორეიაშიაც ბევრი ჯარი ჰყავთ. იაპონელებმა აქამდე ვერ გაბედეს წინ გალაშქრება, აქედან სჩანს, რომ გამარჯვება აღარა სწამთ. ადვილად შესაძლებელია, რომ ეხლა [illegible] მეტი, ნაკლები ჯარიცა ჰყავდეთ. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ რუსის ჯარი ერთნაირ თვისებისა და ერთნაირი ბრძოლის უნარი აქვს, იაპონიის ჯარს-კი, იმ ჯარს, რომელიც ლიაოიანთან, მუკდენთან და პორტ-არტურთან იბრძოდა, ნაკლებად გამოცდილ და ბრძოლის უჩვევ ამხანაგების დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს. რადგან ორივე მხარე სასტიკად ჰმალავენ თავიანთ ჯარის რიცხვს, შეუძლებელია იმის გამოცნობა, თუ რამდენი ჯარი ჰყავთ ორივეს ომის ასპარეზზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მარშალ ოიამას სულ მცირედ 400 ათასი, ან იქნებ 430 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს. გენ. ლინევიჩს მუკდენის ბრძოლის შემდეგ სულ მცირედ 102 ბატალიონი მაშველი ჯარი ჩაუვიდა. იმათ შორის მე-19 საარმიო კორპუსიც, რომელიც ამ დღეებში უნდა ჩავიდეს ომის ასპარეზზე. იმის ხელში სულ მცირედ 474 ბატალიონი, 247 ესკადრონი უნდა იყოს და 2 ათასი ზარბაზანი. აქ ნაანგარიშევი არაა ვლადივოსტოკის ჯარი. რუსის ჯარის საზოგადო რიცხვი მანჯურიაში 470 ათას კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამნაირად ეხლა ორსავე სარდალს თანასწორად ჰყავთ ჯარი და ამიტომაა, რომ იაპონელები ვერ ჰბედავენ რუსის ჯარზე იერიშის მიტანას ასეთ მნიშვნელოვან წამს. („ნ. დ.“).

ორიოდე სიტყვა ქალაქის თვითმმართველობაზე

დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა უთუოდ ქალაქის თვითმმართველობასაც უნდა შეეხებოდა, რადგან ეს თვითმმართველობაც შეჰხუთა და დასცა უმოწყალო ბიუროკრატიამ. თუ ერობა თავად-აზნაურობის მდიდარ ნაწილს ჩაუგდო ხელში, ქალაქის სვე-ბედი კიდევ მსხვილ კაპიტალისტებს ჩააბარა; მაგრამ იჭვიანი ბიუროკრატია ამათაც არ ენდობოდა და ამიტომ ძლიერის ადმინისტრატიულის კონტროლითა და თვითნებობით შეჰბოჭა საქალაქო თვითმმართველობის მოღვაწეობა. რაც მოჰყვა ასეთ რეჟიმს, ყველა კარგად ჰხედავს: ქალაქის მოღვაწეობა უფერული, ცალ მხრივი და სუსტია მთელს რუსეთში. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა ამიერიდან შეუძლებელია და საქალაქო თვითმმართველობასაც ეჭირვება ძირითადი რეფორმა, როგორც სახელმწიფო—საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა მხარეებს.

მართლაც, ქალაქებიც ახმაურდნენ და პრესასთან, საზოგადოებასთან, ხალხთან ერთად მოითხოვენ თვითმმართველობის სრულს გადაკეთებას. შარშან, 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაშიაც, აღნიშნული იყო უკვე საქალაქო თვითმმართველობის რეფორმის საჭიროება; აღნიშნული იყო, რომ თვითმმართველობა უნდა გაფართოვდეს და განთავისუფლდეს ბიუროკრატიის მეტის მეტ აპეკისაგანაო. მას შემდეგ გამოცხადდა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმისათვის განსაკუთრებული საბჭო დაარსდებაო და ის შეასრულებს მუშაობას საზოგადოებრივ ელემენტების დახმარებითაო, მაგრამ საქმე ჯერ შეჩერებულია. და არც გასაკვირველია, რომ შეჩერებულია: როგორც არა ერთხელ გვითქვამს, დღეს ყოველივე იმისაგან არის დამოკიდებული, როგორ და როდის გადაწყდება ძირითად პოლიტიკურ რეფორმის საქმე; ამიტომ ყველა ამას უცდის და ყოველი სხვა საქმე იმ დიდ რეფორმის აღსრულებამდე გადაუდვიათ. ყველა სამართლიანად ჰფიქრობს ასე: როცა მოსალოდნელი რეფორმა მოხდება იმ სახითა და იმ ფორმით, როგორიც ხალხს უნდა, მაშინ ყველა დანარჩენი რეფორმებიც საჭირო სავსებით იქნება განხორციელებულიო; ხოლო თუ ის რეფორმა დაამახინჯეს, მაშინ არც ადგილობრივ თვითმმართველობის განახლების საქმე მოხერხდებაო...

თუმცა ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანია, მაგრამ საქმეს არ ავნებს, პირიქით, სარგებლობასაც მოუტანს, თუ ქალაქები ან სხვა დაწესებულებანი და პირები პროექტების შემუშავებას შეუდგებიან. მომავალ სახალხო წარმომადგენლობას, ცენტრალურსა თუ ადგილობრივს, გაუადვილდება ბევრი საკანონმდებლო საგანი, თუ წინდაწინვე ყველა განზრახულ რეფორმათა პროექტები იქნება დამზადებული. ამ მხრით თუ გავსინჯავთ, ფრიად მოსაწონია, რომ ჩვენს საქალაქო მმართველობასაც გადაუწყვეტია და უკვე თავის პროექტის დამზადებასაც შესდგომია. გუშინ ჩვენ მივიღეთ კიდეც ტფ. ქალაქის საბჭოს მცირე კომისიის მიერ (ხმოსნების ა. ს. ბაბოვის, სტ. თ. ქრელაშვილის და ბ-ნ დოლუხანოვის) შედგენილი პროექტი ახალ საქალაქო დებულებისა, რომელიც, რასაკვირველია, კიდევ იქნება გადასინჯული კომისიისა და თვით ქალაქის საბჭოსაგან და შემდეგ, როგორც პროექტი, წარედგინება სადაც ჯერ იქნება. ამიტომ ჩვენ კიდევ ბევრჯელ გვექნება შემთხვევა ამ პროექტის შესახებ ვიბაასოთ და აქ მხოლოდ ზოგიერთ მოსაზრებას გამოვთქვამთ.

საქალაქო თვით-მმართველობის წესდებულებაში ყველასათვის საინტერესოა ის მთავარი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედება თვით-მმართველობის აგებულებასა და მოღვაწეობას. ეს პრინციპებია: ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება და ვისი არჩევა შეიძლება (აქტიური და პასსიური საარჩევნო უფლება), რამდენად ფართოა თვით-მმართველობით დაწესებულების კომპეტენცია და რაში გამოიხატება მთავრობის კონტროლი. უნდა აღვიაროთ, რომ ამ მთავარ საფუძველთა მიხედვით, ტფ. საბჭოს მცირე კომისიის პროექტი სრულებით ურიგო არ არის და შემდგენელთ ყური უთხოვებიათ თანამედროვე მოთხოვნათა და საჭიროებათათვის.

საარჩევნო უფლებას განსაზღვრავს პროექტის მე-12 მუხლი ამნაირად: „ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ქალაქის ყველა მცხოვრებ რუსის ქვეშევრდომთ განურჩევლად სქესისა და წოდებისა, აგრეთვე ყველა საზოგადოებათ, ამხანაგობათ, სამეცნიერო და საქველმოქმედო დაწესებულებათ, თუ ეს პირნი ან დაწესებულებანი ერთ წელიწადზე ნაკლებ დროს არ არსებობენ ქალაქში“. ხმოსნებად არჩევა-კი შეიძლება ყველა იმ პირებისა, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება აქვთ, მხოლოდ მცირე ცენზი განათლებისა მოეთხოვებათ (საქალაქო სასწავლებლის დამთავრება).

როგორც ჰხედავთ, კომისიას ძირითადათ შეუცვლია საარჩევნო უფლების შესახები მუხლი აწინდელ და წინანდელ დებულებათა. იმათი საარჩევნო უფლების პრინციპი ცენზზე არის დაფუძნებული, ამიტომაც წარმომადგენლობა ქალაქის მცხოვრებთა ცალმხრივია და კლასსობრივი ხასიათი აქვს. პროექტით, ცენზი ისპობა და საარჩევნო უფლება (აქტიური) ყველას ეკუთვნის. დამტკიცება არაა საჭირო იმისა, რომ ასეთი ცვლილება თუ განხორციელდა, ყველა მოიგებს; დასავლეთ ევროპის ქალაქთა აღყვავება იწყება სწორედ იმ დროიდან, როცა ქალაქის საქმეთა მმართველობა ხალხის ხელში გადავიდა. მარტო ეს მაგალითია საკმარისი, რომ მოვიწონოთ კომისიის გაბედვა და სრულის დემოკრატიულის პრინციპის აღიარება. აღსანიშნავია აგრეთვე სასიამოვნო, სამართლიანი და სასარგებლო ცვლილება, რომ პროექტი ქალებსაც ანიჭებს სრულს საარჩევნო უფლებას.

საქალაქო თვით-მმართველობის კომპეტენციის შესახებაც მოუხდენია საჭირო და სასარგებლო ცვლილებანი მცირე კომისიას: გაუფართოვებია თვით-მმართველობის მოღვაწეობის ასპარეზი და ახალი საგნებიც შეუტანია სიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პოლიცია, პროექტით, ქალაქის თვით-მმართველობას ექვემდებარება. როგორც ნაკლს აღვნიშნავთ, რომ ქალაქი არავითარ მონაწილეობას არ ითხოვს სწავლა-განათლების საქმეში; პროექტით იგი სრული გამგებელია მხოლოდ იმ სასწავლებელთა, რომელნიც მის ხარჯზე არსებობენ, მაშინ როდესაც მას უეჭველად უნდა ჰქონდეს ხმა ქალაქში არსებულ საშუალო და მაღალ სასწავლებლის მართვა-გამგეობის საქმეში... მაგრამ, საქალაქო თვით-მმართველობის კომპეტენციის შესახებ გადაჭრილი ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ გადაწყდება სახელმწიფო წესწყობილების განახლების საქმე, როცა ნამდვილად გვეცოდინება, როგორ მოეწყობა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა. ახლანდელს პირობებში-კი კომისიის აზრი საქალაქო თვით-მმართველობის კომპეტენციაზე სრულიცაა და მართალიც...

ესევე უნდა ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მთავრობისა და თვითმმართველობის ურთიერთობა. პროექტს ეს უბრალოდ და სამართლიანად აქვს გადაწყვეტილი: ადმინისტრაციის თვითნებობას ადგილი აღარ ექნება, რადგან თვით-მმართველობის მსახურნი და ორგანოები პასუხს აგებენ მხოლოდ საბჭოს წინაშე, მთავრობას-კი ნება აქვს საზოგადო წესით მისცეს პასუხის გებაში პირები ან დაწესებულებანი, როცა ისინი სახელმწიფო კანონებს დაარღვევენ ან რამე დანაშაულობას ჩაიდენენ...

ამ ზოგიერთ მუხლების განხილვა გვეუბნება, რომ კომისიის პროექტის შემდგენელთ ყურადღებაში მიუღიათ თანამედროვე მოთხოვნანი და თვალ-საჩინო ნაბიჯი გადაუდგამთ წინ. ყოველ შემთხვევაში, ვიმეორებთ, საქალაქო თვით-მმართველობის განახლების საქმეც ბოლოს და ბოლოს ერთ პოლიტიკურ რეფორმისაგანაა დამოკიდებული. **გ.**

ახალი ამბავი

◆ როგორც გავიგეთ, კავკასიის ნამესტნიკს პეტერბურგიდან მოსვლია შინაგან საქმეთა მინისტრის **ბულიგინის მიერ შედგენილი პროექტი** სახალხო წარმომადგენლობის შესახებ. უმაღლესი მთავრობა სთხოვს ნამესტნიკს, გამოსთქვას თავისი აზრი.

◆ 26 ივლისს **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტაცია.** ამ დეპუტაციაში იყვნენ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, მომრიგებელი შუამავალი თავ. მ. რ. ერისთავი, მ. ვ. მაჩაბელი, თავ. ქ. ა. ერისთავი თავ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, ა. ლ. აბაზაძე, თავ. ნ. ა. თუმანიშვილი და მ. რ. ზაალიშვილი. დეპუტაციამ, როგორც „ნ. ო“. გადმოგვცემს, მადლობა გადაუხადა ნამესტნიკს იმ მზრუნველობისთვის, რომელსაც იგი მცხოვრებთა მიმართ იჩენს. ამასთან დეპუტაციას უცნობებია გორის მაზრის თავად-აზნაურთა და გლეხთა საჭიროებანი. თავად-აზნაურთა საჭიროების შესახებ ნამესტნიკისთვის უცნობებია თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს, გლეხთა საჭიროების შესახებ—მ. ვ. მაჩაბელს, ხოლო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ—მ. რ. ზაალიშვილს. ნამესტნიკს გულდასმით მოუსმენია ეს მოხსენებანი.

◆ 2 აგვისტოს ტფ. სამოსამართლო პალატა, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, განიხილავს საქმეს ქართლში მცხოვრების ივანე კეცხოველისას, რომელსაც **პოლიტიკური დანაშაულობა ჰბრალდება.** კეცხოველი ვითომ მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებსა და ბროშურებს ავრცელებდა. კეცხოველის საქმეს პალატა ხალხის დაუსწრებლად განიხილავს.

◆ 9 აგვისტოს ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ვიქტორ ყიფიანისა და ოთხ სხვა კაცისა, რომელთაც **მთავრობის საწინააღმდეგო საქმეებში მონაწილეობის** მიღება ჰბრალდებათ. ამ საქმეს პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილავს ხალხის დაუსწრებლად.

◆ 28 ივლისს ტფ. სამოსამართლო პალატამ დაამთავრა აკოფ ნაზარიკიანცისა, მელდუნი გევორქოვისა და სააკ ტერ-გრიგორიანცის საქმის განხილვა. როგორც ვწერდით, ამათ ჰბრალდებათ **სარევოლიუციო პარტიაში** მონაწილეობის მიღება. პალატამ განაჩენი გამოაცხადა ნაშუადღევის 1 საათზედ; დამნაშავედ იცნო ნაზარიკიანცი და გევორქოვი და გადაუწყვიტა პირველს 6 წლით და 8 თვით კატორღაში გაგზავნა, ხოლო მეორეს—ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება. გრიგორიანცი გაამართლა.

◆ ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ კავკასიის ნამესტნიკმა წინადადება მისცა ტფ. **სასულიერო სემინარიის**

ფელეტონი

როგორ უნდა მოეწყოს ხალხის წარმომადგენლობის საქმე

(დასასრული *)

გადავიდეთ მესამე მოსაზრებაზე, რომელიც ამბობს, ზემო პალატა, ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობათა ორგანოების მიერ არჩეული, დამცველი იქნება ადგილობრივ ინტერესებისა და ქვემო პალატას ცენტრალისტურ მისწრაფებებისაგან დაიხსნის საზოგადოებასაო. ეს მოსაზრება უარ-ჰყო თვით ცხოვრებამ, საქმე ის არის, რომ არსებობს ზემო პალატა, რომელსაც სწორედ ასე ირჩევენ,—სახელდობრ საფრანგეთის სენატი. ცხოვრებამ კი აჩვენა, რომ საფრანგეთის სენატი დეპუტატთა პალატაზე არა ნაკლებ მიისწრაფვის ცენტრალიზმისაკენ და ამ პალატაზე არა მეტს მზრუნველობას უწევს ადგილობრივ თვითმმართველობას, ადგილობრივ ინტერესებსა და სხვაობას. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ადგილობრივ ინტერესებისა და სხვაობისთვის სრულებით არაა საჭირო საგანგებო ცენტრალური გამგებელი ორგანო თავის დასაცველად; ასეთი ცენტრალური ორგანო სრულიად მეტია იმ შემთხვევაში, თუ ნორმალურადაა მოწყობილი ადგილობრივ თვითმმართველობის საქმეები. თუ ასეა გაწესრიგებული საქმე, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ თავიანთ კომპეტენციის საზღვრებში, რომელნიც კანონის მიერ არის განმარტებული, რაის დარღვევისთვის იგინი მხოლოდ სასამართლოს წინაშე აგებენ პასუხს. მაშასადამე, ადგილობრივ ინტერესებისა და სხვაობის დასაცველად სრულებით არ არის საჭირო ზემო პალატის დაარსება. ამისთვის საკმაო რიგზე მოწყობილი ადგილობრივი თვითმმართველობა.

მაგრამაო—დაუყენებიათ ზოგიერთებს—საკანონმდებლო ტეხნიკას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ორ-პალატიანი სისტემა: ასეთი სისტემა უზრუნველ-მყოფელია იმისა, რომ კანონ-პროექტები უფრო გულდასმითა და დაწვრილებით იქნება განხილული, იგი უზრუნველ-მყოფელია ნაჩქარევი მოქმედებისა და უგულდაგვარ გატაცებისაგანაო. ტყუილად კი არაა, რომ იმ პალატების რიცხვში, რომელთაც პირდაპირ ხალხი ირჩევს, მოქცეულია აგრეთვე ზემო პალატებაო. ასე მაგალითად, ნორვეგიის კონსტიტუციის ძალით, ხალხი თითონ ირჩევს თავის წარმომადგენლებს თავის წრისგანვე და ავსებს ზემო პალატას და ამ სახით, ორ ინსტანციას იჩენს საბიუჯეტო და საკანონმდებლო პროექტების განსახილველადაო. აქაც არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ მოვიხსენიოთ ის ფაქტი, რომ გერმანიის იმპერიის უკეთესად მიჰყავს საქმეები მეორე პალატის დაუხმარებლადაც და არავითარ ტეხნიკურ დაბრკოლებას არა ხედავს იგი უამისოდ. ამას გარდა ერთის პალატის დროსაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ ნაჩქარეობა საქმეში: ეს შეიძლება ეგრედ წოდებულ სამჯერ წაკითხვის სისტემის შემწეობით: საქმე რომ ნაჩქარევი არ გამოვიდეს და გადაწყვეტილება მეტად გულდამჯდარ განხილვის ნაყოფი გამოდგეს, თვითეულ კანონ-პროექტს სამჯერ წაიკითხავს ხოლმე პალატა განსაზღვრულ ვადის განმავლობაში. მხოლოდ არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ამ არგუმენტსაც ეტყობა უნდობლობა დემოკრატიისადმი, მასში გამოსჭვივის ნებსით თუ უნებლიე მისწრაფება უპირატესობისადმი; ამ არგუმენტის მოტრფიალეთ, აშკარაა, სურთ მეთაურ კლასებს შეუნარჩუნონ ბატონობა, მიანიჭონ მათ იურიდიულად დამუშავებული უპირატესობა. რაც უნდა იყოს, მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ეს გამპატრონები გაიძახიან, უმრავლესობა ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, იგი ჯერ უვიცაო. მაგრამ ის კი არ ახსოვთ, რომ დემოკრატიულ პრინციპის გამარჯვება დიდი განძია ხალხისთვის. ეს ერთად ერთი იმედია იმისა, რომ შესაძლებელი გახდება თავისუფალი და ლეგალური ბრძოლა სხვა და სხვა კლასთა შორის.

დაგვრჩა გასარჩევი უკანასკნელი მოსაზრება—სახელდობრ ის, რომ ორ-პალატიან სისტემის დროს რეაქციას გაუჭირდება კონსტიტუციასთან ბრძოლა, ვინაიდგან მაშინ ერთის დაწესებულების მაგივრად, ორი დაწესებულება გაუმაგრდება რეაქციის იერიშსაო. მე კი ვიტყვი, რომ პირიქით, ორ-პალატიან სისტემის დროს, რეაქცია უფრო ადვილად დაამარცხებს წარმომადგენლობითის მართვა-გამგეობის პრინციპს, ვიდრე ერთ-პალატიანობის დროს. და ეს მართლაც ასეა: თუ რეაქცია მოინდომებს კონსტიტუციონურად და საზრიანად მოქმედებას, მას დიდი ჯაფა არ დასჭირდება მაშველი იპოვნოს; დიდის სიამოვნებით გაუწვდიან ძმობის ხელს ზემო პალატის უპირატესობის მექონე წევრები და, ამ პალატის საშუალებით, შესაძლებელი გახდება წარმატებით წაიყვანონ და დაამარცხონ კიდეც პოლიტიკური ბრძოლა ქვემო პალატასთან და ბოლო მოუღონ მას. მით უფრო ადვილი შესაძლებელია ორ-პალატიან სისტემის დროს მარტოკა ქვემო პალატის გაუქმება,—ზემო პალატის დახმარებითა თუ დაუხმარებლად, ეს ამ შემთხვევაში სულ ერთია,—რომ, ქვემო პალატის გაუქმების შემდეგ დარჩება ზემო პალატა და, ამ გვარად, დაცულ იქნება თუნდაც ლანდი წარმომადგენლობითის მართვა-გამგეობისა, მისი ფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს რეაქციონერ მმართველობის მომხრეთ, მოუთითონ მოწინააღმდეგეთ, რომ ხალხის წარმომადგენლობის პრინციპი არაა დარღვეულიო; ამით-კი თავისკენ გადაიბირებენ არამც თუ უპირატესობის მომხრეთ, არამედ იმ ზოგიერთ ოპორტიუნისტებსაც-კი, რომელნიც მზად არიან მცირედს დაკმაყოფილდნენ, თუნდ-კი ეს მცირედიც ნუ მოისპობა; მათ ავიწყდებათ, რომ მთელის საქმის დედა-აზრი დაკარგულია, ნამდვილ სახალხო წარმომადგენლობის ადგილას დარჩენილა მხოლოდ ფიქცია, და ასე ამგვარად ხალხი პირში ჩალა გამოვლებული რჩება.

ასე, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება საჭიროა დემოკრატიულ ქვეყნისთვის არა იმ ურთიერთობის გულისთვის, რომელიც არსებობს ამ ქვეყნის რეალურ ეკონომიურ და სოციალურ ძალთა შორის, არამედ იმიტომ კიდევ, რომ ეს უფლება სრულიად შესაფერისია სახელმწიფო პრაქტიკის მოთხოვნილებათათვის. სანამ საერთო დასკვნას გამოვიყვანდეთ, საჭიროა გავარჩიოთ ერთი საყურადღებო მოსაზრება, რომელსაც ხშირად წამოაყენებენ ხოლმე ფარულად ხმის მიცემის წინააღმდეგ: ამბობენ, როგორ შეიძლება იმისთანა ქვეყნის მცხოვრებლებმა, სადაც წერა-კითხვა სუსტადაა გავრცელებული, ფარულად ხმა მისცენ რომელსამე კანდიდატს, რადგან წერა-კითხვის არამცოდნეს არ შეუძლიან დასწეროს ქაღალდზე იმ კაცის გვარი, რომლის კანდიდატობაც მას უნდაო. ნუ დავივიწყებთ იმას, რომ კანდიდატთა რიცხვი, არჩევნების წინა აგიტაციის დროს, არ იქნება დიდი. უეჭველსავე საარჩევნო ოლქში მათი სახელი და გვარი ცალკე ქაღალდებზე იქნება დაწერილი თვითეულ პარტიის მიერ და ისე დარიგდება ხალხს, ასე რომ ამომრჩეველს არაფრის დაწერა არ მოუნდება; ესეც რომ არ იყოს, თვითეულ კანდიდატის გვარი შეიძლება აღინიშნოს პირობითის ნიშნებით—ჯვრის დასმით, წრის შემოვლებით, ხაზით, რაც წერა-კითხვის არა მცოდნესაც შეუძლიან. ბოლოს, წერა-კითხვის არ მცოდნე მიმართავს მცოდნე ნაცნობთ და ნათესავთ დახმარებისთვის. მართალია, ეგეთაფერი ეს ძნელად მოსახერხებელი და გასაჭირია, შეიძლება სიყალბეც მოჰყვეს ამას, მაგრამ უფრო ადვილია, შეეგუოთ ყველაფერს ამას, ვიდრე უარ-ყოთ ეგოდენ სასარგებლო და გამოსადეგი პრინციპი ფარულად ხმის მიცემისა. ამასთან უნდა გვქონდეს სახეში ისიც, რომ სადაც პოლიტიკური თავისუფლება უკვე მოპოვებულია, იქ სახალხო განათლების საქმე წარმატებით მიჰქრის წინ, ასე რომ დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირდება საყოველთაო წერა-კითხვის ცოდნისთვის.

წარმოვიდგინოთ ისეთი ქვეყანა, რომელიც თავის ეკონომიურ განვითარების გზაზე განიცდის თავდაპირველ მოგროვების პერიოდს, რომელიც, დღეს თუ ხვალ, ფეხს გადადგამს კაპიტალისტურ განვითარების გზაზე. ასეთ ქვეყანაში ინგრევა წოდებრივი ზღუდენი, არისტოკრატიული ელემენტი უძლურდება და ცხოვრებაში მეორე ადგილს იჭერს; ამასთანავე აღორძინებას იწყებს ვაჭარ-მრეწველთა კლასი რომლის მისწრაფება მიმართულია თავისს ეკონომიურ ბატონობის ცხოვრებაში განხორციელებისკენ; ჩნდება აგრეთვე ვეებერთელა დემოკრატიული მასსა; იგი შესდგება მუშათა თანდა თან მოზარდ კლასისაგან, რომელიც უკვე შეგნებულად აზროვნობს და არკვევს პოლიტიკურ საკითხებს, რომელიც ისე მომწიფებულა, რომ მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათის ინტერესების სრულის უფლებებით აღჭურვილ წარმომადგენლების ყოლა; ამავე დემოკრატიულ მასსას შეადგენს გლეხობა, რომელთა ერთი ნაწილი უკვე გამოღვიძებულია შეგნებულის ცხოვრებისთვის, მეორე ნაწილს-კი უკვე დაუწყია მღელვარება. ბოლოს ჩნდება და ვითარდება პროფესიონალურ ინტელიგენციის დიდძალი ჯგუფი—ექიმებისა, ვექილებისა, სწავლულთა, ლიტერატორთა, ინჟენერთა, ტეხნიკოსთა, საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურეთა და სხ. და სხ. ეს ჯგუფებიც მიისწრაფვის თავის ინტერესების აშკარად დაცვისაკენ. ერთის სიტყვით, იზრდება კლასიური წინააღმდეგობანი, რომელთა მშვიდობიანისა და ლეგალურ გადაწყვეტისთვის ერთად ერთი წამალი ის არის, ყველა ინტერესებს მიეცეს საშუალება აშკარად და პირ და პირ იბრძოდნენ კანონიერ ნიადაგზე.

როგორი წარმომადგენლობა შეეფერება ეკონომიურისა და სოციალურ ძალების ასეთ განწყობილებას? რა თქმა უნდა, არა არისტოკრატიული, წოდებრივი, ან ცენზიანი—როგორიც უნდა იყოს უკანასკნელი, ფარული გინდ აშკარა—სულ ერთია; ყველა ასეთი პირობა წარმოშობს მხოლოდ მარტო ანტაგონიზმს, არც ერთი არ დაიცავს ხალხის ინტერესებს სავსებით და არ მოუტანს შვებას მაშვრალთა და გაჭირვებულთ.

მაშ როგორ უნდა აირჩიოს ხალხმა თავის ინტერესების დამცველები, როგორ უნდა მოეწყოს ხალხის წარმომადგენლობის საქმე? პასუხი, ყოვლად ბუნებრივი და ლოღიკური, ერთად-ერთია: საჭიროა ხალხს მიეცეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება და ერთ-პალატიანი სისტემა ხალხის წარმომადგენლობისა.

ა. ლომთათიძე

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2872.

საპედაგოგიო საბჭოს, გადაეთვალიერებინა თავისი დადგენილება დათხოვნილ სემინარიელთა შესახებ და ხელმეორედ მიეღო ისინი, ვინც ამას მოისურვებდა. სემინარიის საპედაგოგიო საბჭომ ეს წინადადება განიხილა ამ დღეებში და თავისი დადგენილება დასამტკიცებლად უწმ. სინოდს წარუდგინა. ვერ გავიგეთ, რა დაადგინა საპედაგოგიო საბჭომ ამ საგნის შესახებ.

◆ **ბაქოს საპყრობილეებში თავისუფალი ადგილი** აღარ ყოფილა. როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, ახალ პატიმართ ბაქოს გუბერნიის სამაზრო საპყრობილეებში ჰგზავნიან თურმე.

◆ 25 ივლისს, როგორც აღვნიშნეთ, ვიღაცებმა ტფილისის მესამე მომრიგებელ მოსამართლის სადგომში გასტეხეს ქალაქის მეორე ნაწილის გამომძიებლის კამერა და გაიტანეს სხვა და სხვა ნივთები. როგორც გამოირკვა, **წაუღიათ 4 რევოლვერი**, ერთი ნაჯახი, პატრონტაში 60 რევოლვერის პატრონებით სავსე, ერთი ბებუთი და სხვა ამგვარი იარაღი.

◆ 18 ივლისიდან, როგორც ბათუმის გაზეთი გადმოგვცემს, **სოხუმში გაფიცულან რესტორანის ლაქიები და მზარეულები**.

◆ თავ. გოლიცინის დროს **სამსახურიდან გადაყენებულს**, ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფს, ლაზარენკოს, როგორც გავიგეთ, ისევ ამ ადგილზე ნიშნავენ.

◆ **თელავი.** 22 ივლისს, ღამე, თელავის საპყრობილეში გამოეთხარათ კედელი ფანჯრის ქვემოდ ტუსაღებს აშაძეს, შათირიშვილს, ფოთოლაშვილს და დათაძეს. ამათ სდომებიათ გაპარვა, მაგრამ ამ დროს საპყრობილის ზედამხედველი ჯავახია ტუსაღებს ათვალიერებდა თურმე, დროზე მოასწრო და ველარ განახორციელეს თავიანთი განზრახვა. მეორე დღეს ამათთვის ბორკილები გაუყრიათ ფეხებში.

◆ გუშინ-წინ ტფ. ქალაქის გამგეობამ საგუბერნიო მთავრობას წარუდგინა შუამდგომლობა **სოლოლაკის გორის ქვეშ ტუნელის გამყვანთა** ხატისოვისა და ბრაილოვსკისა, რომელნიც თხოულობენ 42,000 მანეთისა და ყოველ წლობით 6000 მანეთის გადახდისაგან განთავისუფლებას. ამ ფულს, როგორც მკითხველებმა იციან, მთავრობა თხოულობს კონცესიონერებისაგან.

◆ **ახლად დანიშნული ექსარხოსი** ტფილისში ჩამოვა 2 აგვისტოს. ექსარხოსის დასახვედრად ბალაჯარაში გაიგზავნა ნამესტნიკის მდივანი პუშჩინი.

◆ 10 აგვისტოსთვის ბაქოში **სამხედრო სასამართლო შეუდგება გლურჯიძის საქმის განხილვას.** გლურჯიძეს ჰბრალდება უბნის ზედამხედველის თავ. მიქელაძის მოკვლაში მონაწილეობის მიღება.

◆ ამას წინად გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ **სოხუმის ეპისკოპოსის კათედრა** სოხუმიდან ნოვოროსისკში გადააქვთ. სოხუმის ეპისკოპოსს უცნობებია სოხუმის ქალაქის თავისთვის, მე მაგ საქმის შესახებ არაფერი ვიციო („ჩ. ვ.“).

◆ 28 ივლისს გორის მაზრის სოფელ მერეთში დაუსაფლავებიათ ტფ. სათავადაზნაურო ბანკის **დამფასებელ კომისიის თავმჯდომარედ ნამყოფი კონსტ. ფურცელაძე.**

◆ კავკასიის მე-21 ქვეითა ჯარის დივიზიის შტაბმა სთხოვა ტფ. ქალაქს და მაზრის სამხედრო საკრებულოებს აცნობონ, რა საფუძვლით და რა დროიდან ტფილისის გუბერნიის კოლონისტ-გერმანელები იხდიან სამხედრო ბეგარას; გადებულნი არიან თუ არა ისინი სამხედრო ბეგრის მოხდას და ან როდის მიიღეს მათ რუსეთის ქვეშევრდომობა და სხვ.

◆ 27 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ნაძალადევში, მწვანე დუქანში, რამდენსამე კაცს რაღაც ანგარიშისა გამო ჩხუბი მოსვლია. ჩხუბში, სერგო ანტიპოვს სტოლის გაშლილი დანა აუღია და გვერდში დაუკრია მიხეილ კასპოფილი იმ დროს, როცა ამ უკანასკნელს ღვინით სავსე ბოთლი აუღია და თავში დასარტყმელად შეუღირებია. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ ქალაქის ტრამვაის მეთვალყურე კომისიის თავჯდომარემ სთხოვა ტფ. პოლიციმეისტერს, განკარგულება მოახდინოს, რომ პოლიციელები ელექტრონის ვაგონების წინა ბაქანზე არა დგებოდნენ, რადგან ვაგონების დამტარებლებს ხელს უშლიან.

◆ საგუბერნიო მთავრობამ ტფ. სთხოვა ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოს, გვაცნობეთ 15 აგვისტომდე წელს ტფილისის რაიონიდან რამდენი ჯარის-კაცია სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეულიო.

◆ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა „სვეტის“ წარმომადგენელს, იღონოს რამ, ამ ფირმის ფანრები კარგად ანთებდნენ და მალე არა ჰქრებოდნენ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ამას წინად ქუთაისში მოხდა ქალაქის სასკოლო კომისიის წევრთა კრება, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სხვა და სხვა სასწავლებლის მმართველნი და მასწავლებელნი. კრებას უნდა შეემუშავებინა პროგრამა დაწყებით სახალხო სკოლებისათვის, სადაც სწავლება ქართულად უნდა სწარმოებდეს. კრებაზე მრავალი საყურადღებო აზრი წარმოითქვა სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესების შესახებ. ზოგიერთები საჭიროდ სცნობდნენ სახალხო სკოლების კურსების გაფართოვებას—სამის წლის კურსების ნაცვლად 6 წლის დანიშვნას, მხოლოდ ისე კი უნდა მოეწყოს ამ სკოლების საქმე, რომ მოწაფეებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ საშუალო სასწავლებელში გადასვლა სწავლის გასაგრძელებლად. უკანასკნელ აზრის განხორციელება კი შესაძლებლად სცნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საშუალო სასწავლებლების პროგრამაც შეიცვლება ისე, რომ იგი სახალხო სკოლების პროგრამის გაგრძელებას შეადგენს. ზოგიერთებმა ის აზრიც წარმოსთქვეს, რომ, თუ საშუალო სასწავლებლებშიაც არ იქმნება შემოღებული საგნების ქართულ ენაზე სწავლება, მაშინ დაბალ სასწავლებლებში ქართულ ენის გამეფება სარგებლობის ნაცვლად ზარალს მოგვიტანს: დაწყებით სკოლებსა და საშუალო სასწავლებელთ შუა კავშირი სრულიად გაწყდება და სახალხო სკოლებში კურს დამთავრებულნი ველარ შესძლებენ საშუალო სასწავლებელში შესვლას სწავლის განსაგრძელებლად. ამიტომ საჭიროდ სცნეს, ითხოვონ, რომ ქართულად საგნების სწავლება საშუალო სასწავლებელშიაც იქმნეს შემოღებული. აღნიშნულ იქმნა ის გარემოებაც, რომ ქართულ ენის სასწავლებლებში გამეფებას მნიშვნელობა არ ექმნება, თუ რომ ამ ენას სამოქმედო პრაქტიკული ასპარეზი არ მოვუპოვეთ ყოველს ჩვენს საზოგადო თუ კერძო დაწესებულებაში, სასამართლოში, კრებებზე და სხვაგანო.

კრების ერთმა წევრმა აღნიშნა ჩვენი ხალხის სიღარიბე, რის გამო ვერ ახერხებენ შვილების აღზრდას. ამიტომ მან საჭიროდ დაინახა, მოვითხოვოთ, რომ დაბალ სახალხო სკოლებში სწავლა უფასო და სავალდებულო იყოს ყველასათვის. რაც შეეხება საშუალო სასწავლებლებს, იქ კი თუ სულ უფასო არ იქმნება სწავლა, მცირე ფასიანი მაინც იყოსო.

ერთმა სასულიერო პირმა განაცხადა, რომ მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს სასულიერო უწყების სკოლებს; რომ მთავრობის განკარგულება სახალხო სკოლებში საგნების ქართულად სწავლების შესახებ მხოლოდ საერო სკოლებს შეეხება, სამრევლო-საეკლესიო სკოლები კი სრულიად უყურადღებოდაა დატოვებულიო. ორატორი საჭიროდ სცნობდა სასულიერო უწყების სკოლებსაც ის უფლება მიენიჭოს, როგორიც საერო უწყების სკოლებს მიეცემათო.

კრებამ აარჩია კომისია და იმას დაავალა შეიმუშაოს პროგრამა სახალხო სკოლებისათვის. კომისიამ საჭიროების მიხედვით უნდა მოიწვიოს სოფლის მასწავლებელნი. შემუშავებული პროგრამა უნდა წარედგინოს კრებას ერთის კვირის განმავლობაში.

◆ რესტორანებისა და სამიკიტნოების მზარეულები და ლაქიები უარს ამბობენ კვირა-უქმე დღეებში მუშაობაზე, რის გამო ზოგიერთი სამიკიტნო-რესტორანი, რომელიც თითო კაცს ეკუთვნის, უქმე დღეებში დაკეტილია, ზოგიერთი კი, რომელსაც ორი-სამი პატრონი ჰყავს, და შეუძლია უმოსამსახუროდ დარჩენა, კვლავ განაგრძობს ვაჭრობას. ამის გამო მერესტორნეები და მიკიტნები თხოულობენ, ან ყველა რესტორანი და სამიკიტნო დაიკეტოს კვირა-უქმე დღეებით, ან ყველამ ივაჭროს, მხოლოდ ისე კი, რომ ერთ კვირას მოსამსახურეების ერთი წილი განთავისუფლდეს მუშაობისაგან და მეორე კვირას მეორე—ნაწილი.

◆ ამას წინად ექიმთაგან შემდგარმა კომისიამ მოიწონა ქალაქის მომავალ საავადმყოფოს გეგმა, მხოლოდ საჭიროდ სცნო მისი ცოტა შესწორება. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ გეგმით საავადმყოფოს აგებასა და მოწყობას დასჭირდება 70—80 ათასი მანეთი. ქალაქს კი ამ საგნისათვის ნასესხები აქვს 50,000 მანეთი, რომლიდანაც ამ ჟამად 45,000 მანეთზე მეტს ვერ მიიღებს ამიტომ ხელმეორედ შეკრებილმა კომისიამ საჭიროდ სცნო ახალ გეგმის შედგენა ისე, რომ ამ გეგმით საავადმყოფოს აგება და მოწყობა 45,000 მანეთზე მეტად არ დაჯდეს. დადგენილ იქმნა: ერთსართულიან საავადმყოფოს შენობის ნაცვლად აიგოს ორსართულიანი შენობა (ინჟენრების აზრით ამგვარად 20%—25% შემცირდება საავადმყოფოს ხარჯი), შემცირდეს ოთახების რაოდენობა, სიგრძე-სიგანე და სხ. ახალ გეგმას შედგენა მიენდო ინჟენერ სახაროვს.

◆ ქალაქის საყასბოდან ეტლით მომავალს ბეითალ ლანგს ამას წინად საღორიის ტყეში თავს დაესხა ოთხი რევოლვერებით შეიარაღებული კაცი და წაართვა ოქროს საათი, ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლით და ფულიანი ქისა; სულ ფულად და ნივთებად წაიღეს 200 მანეთამდის. ამ ბოლოს დროს საღორიის ტყეში ძალიან გავრცელდა მგზავრებზე თავდასხმა, ძარცვა-გლეჯა და დაჭრა.

რუსეთის ქრონიკა

საიმპერატორო კარის მინისტრი ბარონ ფრედერიქსი ამ თანამდებობას თავს ანებებს. იმას მოადგილედ თავ. ობოლენსკის ნიშნავენ. („რ. ს.“).

გზათა მინისტრის ახალ განკარგულებით. რკინის გზების მოხელეებს აკრძალვათ დაარსება ყოველისავე საარჩევნო დაწესებულებისა, როგორც, მაგალითად, ბიუროებისა, კომისიებისა და სხვათა. („რ. ს.“).

სიკვდილით დასჯა დარაჯის მკვლელისა. ვარშავაში 24 ივლისს სამხედრო სასამართლოს სიკვდილი გადაუწყვეტია ოცის წლის მუშის გელდაკ გამარკუსკისთვის, რომელსაც 16 აპრილს სასიკვდილოდ დაუჭრია ზოლდატიელი დმიტრიუკი. („რ. ს.“).

ახალი რეფორმა ფინლიანდიაში. „ნ. გ.“-ის სიტყვით, ფინლიანდიის უმაღლეს მართვა-გამგეობის საქმეში დიდი ცვლილება მოხდება თურმე. ამასთან ამბობენ, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს თავ. ობოლენსკის საიმპერატორო კარის მინისტრად ნიშნავენ, ხოლო იმის მოადგილედ თავ. პუტიატინს ასახელებენ. („ნ. გ.“).

რუსეთის ქვეშევრდომთა გადასახლება. ივნისის განმავლობაში ლიბავის ნავთსადგურში ორი ათას ორას ოთხმოც (2.280) ემიგრანტს გაუვლია. ეს ემიგრანტები საზღვარ-გარედ წასულან იქ დასასახლებლად. („რ. ვ.“).

ნება დართული მოწოდება არა-რუსთა წინააღმდეგ. კამენეც—პოდოლსკში მეტად თურმე გავრცელებულია ხალხში ცენზორის მიერ ნება დართული და დასტამბული მოწოდება „რუსის ხალხის მიმართ“, რომლითაც იწვევენ ყველა რუსს არა-რუსთა ამოსაჟლეტად“. („რ. ვ.“).

თავდასხმა და ცემა-ტყეპა. ატკარსკის მაზრის ქალაქ ბალაშოვში 21 ივლისს ხალხი დასცემია პუბლიცისტის ფელდოკოვის და ვაჭრის ტარასონის სახლსა და აუკლია. იმავე დღეს უცემიათ ექიმების შმელევისა და ნევზოროვისათვის. („რ. ს.“).

ტუსაღთა გაფიცვა ჭამა-სმის ალკვეთით. როგორც არდოვიდან „რ. ვ.“-ს ატყობინებენ, იქაურ სატუსაღოს „პოლიტიკურ დამნაშავეთა“ განყოფილებაში 19 ივლისს ტუსაღები გაფიცულან და სამი დღე არც იქაური და არც გარედან მოტანილი საჭმელი აღარ უჭამიათ. ტუსაღები პროტესტს აცხადებენ თურმე ადმინისტრაციის საზიზღარ ქცევაზე, უვარგის სასმელ-საჭმელზე და თხოულობენ სუფთა ჰაერზე გავლის ნებას. („რ. ვ.“).

სწავლა ფინანსთა სამინისტროს სასწავლებელში, ამ სამინისტროს დადგენილებით, 15 ოქტომბრამდე არ დაიწყება თურმე. ამას გარდა აზრად აქვთ წეს-წყობილება ამ სასწავლებლებში შესამჩნევად შესცვალონ („რ. ს.“).

ლ. ნ. ტოლსტოი საფრანგეთში. თუ რამდენად აფასებენ და პატივსა სცემენ საფრანგეთში რუსეთის მწერლის ტოლსტოის ყოველსავე სიტყვას, იქიდანაც სჩანს, რომ იმისი უკანასკნელად დაწერილი სტატიები და წერილები ამ ცოტა ხანში მესამედ გამოუციათ ფრანგულ ენაზე, უკანასკნელი სიტყვა ტოლსტოისა, ფრანგულ ენაზე გამოცემული, შეეხება რუსეთ-იაპონიის ომს, რუსეთის ამბებს, პოლიტიკურ მოღვაწეთა მოწოდებას და სხ. („რ.“).

ჟურნალ-გაზეთების შევიწროება. „სამხედრო ინჟინერთა უწყებების“ რედაქტორი მაკაროვი აცხადებს, რომ ამ ჟურნალის მე-3 და 4 ნომრების გამოცემა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო თავის დროზე ვერ მოხერხდათ. საყურადღებოა, რომ სამხედრო მოხელეებსაც ავიწროვებენ. („რ. ვ.“).

მებატონის ბარონ ბისტრამის მოკვლა. მიტავის მახლობლად მოუკლავთ მებატონე ბისტრამი. 17 ივლისს დილით მეჯინიბეში ჩამოსულა ახლო-მახლო ადგილებიდან ოცდა ათი კაცი და თავის სახლიდან გამოუხმიათ მებატონე. როდესაც იგი გამოსულა, ფული მოუთხოვნიათ, მაგრამ იმას უთქვამს, მე დასარიგებელი ფული არა მაქვსო. მაშინ დაუხლიათ რევოლვერები და მოუკლავთ. საშინელ არეულობის გამო მკვლელებისთვის ვერა დაუჭერიათ-რა, ისინი შემოსხდარან ცხენებზე და გაქცეულან. მეჯინიბეში მისვლამდე ამათ [illegible] და ნადავლისთვის ბევრი [illegible] ტელეფონები და სხვა, რაც-კი გზაში [illegible]. („ნ. დ.“).

ბრძოლა ხულიგანთა წინააღმდეგ. კამიშინში ხულიგანთა ძალმომრეობისა და ბარბაროსობას ბოლო არ ედება. ქალაქი ბრძოლის ველს წარმოადგენს. მცხოვრებნი ხულიგანების ჯგუფს [illegible]: ერთი მოჰკლეს, მეორე მძიმედ დასჭრეს და სხვებს უმოწყალოდ სცემეს. სამაგიეროდ ხულიგანებიც ხეირს არ აყრიან ქუჩებში მოქალაქეებს. ბევრი ქალაქიდან მიდის, ისე თავზარდაცემულია ხალხი. ამბობენ, ამ ხულიგანებს სხვები ამოქმედებენო: („ნ. გ.“).

სტუდენტების ცემა. სევასტოპოლში ერთი ზოლდაციელი დასცემია ტურისტებს, დაუწყია ყვირილი: „დაჰკა სტუდენტებსაო“ და ერთისთვის დანით თავი გაუტეხია, მეორე მძიმედ დაუჭრია, დანარჩენები გაქცეულან. ამ ამბის გამო გამოძიება დაუწყიათ. („ნ. გ.“).

ებრაელების დევნა. ნიჟნი ნოვგოროდიდან ებრაელების ორასი სახლობა მისულა ამ დღეებში ორის გემით ყაზანში. (ს. ო.)

პოლიციელი და ცენზორი. სარატოვში ცენზორად დაუნიშნავთ სტრაჟთა უფროსი. („ნ. გ.“)

ნიცშეს იდეალი

(დასასრული *)

ჩვენ მსხვილის ხაზებით დავუსურათხატეთ ნიცშეს იდეალი. რადგან კაცობრიობას არა აქვს ერთი მიზანი, ამიტომ თვით კაცობრიობაც არ არსებობს. არსებობს მარტო კერძო ადამიანი და მისი წმიდა უფლება—გაუკეთესდეს დაუბოლოვებლად. გაუკეთესება ნიშნავს პიროვნების, „მე“-ს ცხოვრების სავსებით განხორციელებას; საიმედო და ჭეშმარიტი წინამძღოლი ამ საქმეში არის პრინციპი: „მე მსურს“, „ჩემი სხეული მიბრძანებს“. უკანასკნელი პრინციპი გაანთავისუფლებს ადამიანს თანამედროვე კერპების ბრჭყალებისაგან და მიანიჭებს სიხარულს, რომელსაც ეხლა მოკლებულია. მაგრამ ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ გაუკეთესება პიროვნებისა არის საბოლოო მიზანი ადამიანის მისწრაფებისა, არა, არის მიზანი უფრო უმაღლესი: ადამიანის განთავისუფლებით მომზადდეს თავისუფლება ზეკაცების შემოქმედებისათვის, რომელიც შექმნის კაცობრიობისათვის ნამდვილ და ჭეშმარიტს საუნჯეს.

დავაკვირდეთ ამ იდეალს. გული ნიცშეს მოძღვრებისა ძევს იმ მცნებაზე, რომ ყოველ პიროვნებას აქვს უფლება თვით გამორკვევისა, რომ ცხოვრების ხელმძღვანელ პრინციპად უნდა დაისახოს: „მე მსურს“ განცალკევებულ ადამიანისა. თუ დავამტკიცებთ ამ პრინციპის უსაფუძვლობას, მაშინ თავის თავად ცხადი იქნება უსაფუძვლობა ნიცშეს იდეალისა.

რამდენად მართალია გერმანელი ფილოსოფოსი, როდესაც სამყაროს ცხოვრების გულში ათავსებს განცალკევებულ პიროვნებას და მის სურვილს? ნიცშე არ იძლევა არც ერთ ძლიერ საბუთს თავის აზრის გასამართლებლად. მართლაც, თუ სურდა ნათელ ეყო თავისი რწმენა, ნიცშეს უნდა დაემტკიცებინა პირველად, რომ ადამიანის პიროვნება არაფრით არ არის დაკავშირებული გარეშე ქვეყნიერებასთან; უნდა დაემტკიცებინა, რომ ფიზიკურ ქვეყნიერების საიდუმლო ძალებს არავითარი გავლენა არა აქვთ ადამიანის პიროვნებაზე; უნდა დაემტკიცებინა, რომ ადამიანის პიროვნება მოშორებულია სხვა პიროვნებების ზედ მოქმედებას, მხოლოდ მაშინ იქნება ცხადი, რომ განცალკევებული, თვითეული პიროვნება არის მეფე ქვეყნიერებისა, მისი არსისა.

ნიცშეს, როგორც ბრძენს, დიდი შეცდომა მოუვიდა, რადგან ფსიხოლოგიური მდგომარეობა მიიღო დედა ბოძად და არ შეამოწმა მისი ლოღიკური კარგიანობა.

მართლაც, ადამიანი მთელის საუკუნოების განმავლობაში ნელ-ნელა თავისუფლდებოდა იმ ბორკილებისაგან, რომელნიც აფერხებდნენ იმის აზრის, გრძნობის და ნების განვითარებას; ამ გზაზე ბევრი მსხვერპლი შესწირა, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა. რასაკვირველია, მასში მტკიცდებოდა რწმენა: ადამიანი მძლავრი დევგმირია, ბუნების მეფეა; ადამიანი კი არ ემორჩილება, ის ემორჩილება ადამიანს: ბუნება ემსახურება ადამიანის ფიზიკურ მოთხოვნილებას, ბუნება უხსნის თავის გულს და იქ დაფარულ საიდუმლოებას ადამიანის ცნობის მოყვარე გონებას; ბუნება მორჩილად ასრულებს ადამიანის ბრძანებას. ადამიანიც გაამაყდა, დაივიწყა, რომ იგი არ არის რაღაც განცალკევებული არსება, არამედ ათასის ძაფით არის გადაბმული გარეშე მყოფ ადამიანებთან, უსაზღვრო სამყაროსთან ეხლა, წარსულში და მომავალში; დაივიწყა, რომ ადამიანი პაწაწკინა ქვაა, ძნელად დასანახავი უზარმაზარ, თვალუწვდენელ ბუნების შენობაში; დაივიწყა, რომ ადამიანს არ ძალუძს წინა უყენოს საიდუმლოებით მოცულ ცხოვრების მდინარეს არც თავისი სიამაყე, არც თავისი ძლიერება და წადილის სურვილისამებრ: მდინარე მძლავრია, რომ შეიძლებოდეს შებრძოლება იმის რბენასთან. მდინარე უმოწყალოდ დაანგრევს მომხიბლავ, საოცარ და დიად შენობას, ამაყ ზეკაცის იდეალებს და თვით უჩვენებს თავის ბუნებრივ გზას; მკაცრად დასჯის იმისთვის, რომ ადამიანის პიროვნებამ, უძლურმა, გაბედა და თავისი თავი გამოაცხადა ხელმძღვანელად როგორც თავის ცხოვრების, ისე მთელ ქვეყნიერებისა.

ნიცშეს კარგად ესმოდა ქვეყნიერების მეფობა და გავლენა ადამიანის პიროვნებაზე; კარგად იცოდა გადაუვალი დობე, რომელიც საზღვრებით ზღუდავს ამაყ ადამიანის მეფურ აზრებს, გრძნობებს და სურვილს. ყური დაუგდეთ, რას ამბობს ამაზე ფილოსოფოსი: „გავანთავისუფლოთ წარსული და ყოველი, „რაც იყო“ და გარდავქმნა „ასე მსურდა მე“-თ, აი რას დავუძახებდი ჭეშმარიტ განთავისუფლებას“. „ნება—აი სახელი განმათავისუფლებელისა და მახარობელისა; ამას გასწავლიდით, ჩემო ამხანაგებო! ეხლა შემდეგიც დაისწავლეთ: „თვით ნება მონობაშია. მსურს განვთავისუფლდე!—იძახის სასოწარკვეთილებით ნიცშე,—მაგრამ რა ჰქვიან იმას, რაც განმათავისუფლებელს ბორკილებით ჰბოჭავს! „იყო“—აი სახელი იმ ნების იდუმალ მწუხარებისა და კბილების კრაჭუნისა. ნება უძლურია უკვე ყოფილის წინ და მხოლოდ მწუხარედ შესცქერის წარსულს. ნებას არ შეუძლიან ყოფილი შესცვალოს; არ შეუძლიან დრო დაამარცხოს და მისი მიმდინარეობა შეაჩეროს,—აი სატანჯველი ნებისა.

„ოჰ, ნეტავი არავინ და არასოდეს არ ჩამოეცლის ლოდს—„იყო?“ ჰკითხულობს ნიცშე და კარგად იცის, რომ მხოლოდ ერთი პასუხია ამ კითხვაზე: არავინ და არასოდეს, მაგრამ ფილოსოფოსი თავისებურის გაბედულობით სთხზავს ფიქციას: „რაც იყო“—ნანგრევია, ამოცანაა, შემთხვევაა, მანამ ყოვლის შემქნელი ნება არ ბრძანებს: „მაგრამ მე ეგრე მსურდა“-ო.

ფიქცია არაფერს უშველის, არ გააქარწყლებს ნების წარსულზე ძალის ილუზიას. ნებას არა აქვს ძალა არა მარტო წარსულზე, არამედ აწმყოსა და მომავალზედაც, და ამიტომ ყური უნდა დაუგდოთ არა განცალკევებულ თვითეულ პიროვნების ხმას, არა მძლავრ სხეულის ძახილს: „მე მსურს“ არამედ ქვეყნიერების ნების ძახილს, ქვეყნიერების ცხოვრების მოწოდებას, და თუ ჯერ-ჯერობით ეს არ შეგვიძლიან,—თანამედროვე კაცობრიობის ხმას. ადვილი არ არის გამოცნობა იმ ხმისა, ის იკარგება იმათ ღმუილსა და ჩხავილში, რომელთაც ესმით ხმაში მკაცრი მსჯავრი, უმოწყალო მუქარა. ადვილი არ არის ხმას ბანი მისცე, მოწოდებაზე წახვიდე: ძალთა მეუფენი ამა ქვეყნისა შეგვაფერხებენ, როგორც კი შევძლებთ.

ნეტავ იმას, ვინც შეისმინა და იცნო ცხოვრების ძახილი: მან მოიპოვა ჭეშმარიტი მიზანი და ზნეობრივი კმაყოფილება!

რა ღვაწლი მოუძღვის ნიცშეს? არის რამე საღი იმ მოძღვრებაში? მართალია ნიცშეს მოძღვრება გვიანი მომღერალია იმ მსოფლმხედველობისა, რომელიც განსაკუთრებით ენერგიით იყო განცხადებული. რომანტიკების მიერ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში და მოიცვა მთელი საუკუნე; მართალია რომ ნიცშეს მოძღვრება გზას უთმობს ახალს მსოფლმხედველობას, რომლითაც ადამიანი მხოლოდ პატარა ნაწილია ქვეყნიერებისა. მაგრამ ნიცშეს მიუძღვის ღვაწლი თანამედროვე კაცობრიობასთან და მომავალ საუკუნოებთანაც.

ნიცშეს არ უყვარს, თანამედროვე საზოგადოება, მართლა, მოკლებულია სიცოცხლის ნიშან-წყალს: თითქოს მოიწყინა ცხოვრებამ. თანამედროვე ადამიანი ჰგავს გორკის ივან ივანიჩ ივანოვს, რომელსაც ეშმაკმა ოპერაცია გაუკეთა: ამოაძრო პატივმოყვარეობა, ჯავრობა, სიბრალული. თვით ეშმაკი გაოცდა, როცა დაინახა ოპერაციის შედეგი: ივან ივანიჩი მოდუნდა, თითქო სულ ყველა ძვლები ამოუღესო; იჯდა სავარძელში გალეშილის პირით და მხოლოდ ა-ღ-უ-ე-ს თქმა-ღა შეეძლო.

სამარცხვინო სურათია, მაგრამ სიმართლესთან თითქმის სწორი. პოეტის თქმისა არ იყოს, ჩვენ თაობას თითქოს უმწვილობის დროს არ ენახოს; უმწვილობა გახდა წარსულის წლების ზღაპრად. არც ერთს ჩვენგანს არ ჰყვარებია ისე, რომ მთელი ქვეყნიერება დავიწყებოდა; არა ერთხელ გვიღალატია ჩვენი ღმერთებისთვის, ჩვენ გვტანჯავს ურწმუნოება; გულს გვიღრღნის სევდა, ჩვენ გვძულს და გვიყვარს შემთხვევით, არავითარი მსხვერპლი არ გვინდა შევსწიროთ არც სიძულვილს, არც სიყვარულს. ამასთანა საზოგადოებისათვის საჭიროა „ჰაერი, ფართოება, ადგზნებული სიტყვა, რომ გამოიღვიძოს ძილისგან, რომ აენოს თვალებში ცეცხლი, რომ გაშალოს ფრთები, რომ გული აევსოს გმირობის სურვილით.

ნიცშეს მოძღვრება—ადგზნებული სიტყვაა, ჰაერი და ფართოება. იგი აღადგენს სულით დაცემულთაც კი, უღვიძებს გულში სარწმუნოებას, რომელიც ასე საჭიროა ყოველ ბრძოლისთვის. რა უშავს, რომ ნიცშე გვიწვევს, გაღვიძებული ძალები მოვახმაროთ უტოპიას, იდეალს ზეკაცს, ვინ გვიშლის სხვა ვარსკვლავს, სხვა ბრწყინვალე იდეალს შევწიროთ ნიცშეს ადგზნებულის სიტყვებით გაღვიძებული ენერგია.

მაგრამ ნიცშეს ღვაწლი მიუძღვის არა მარტო თანამედროვე კაცობრიობის წინაშე, არა, ნიცშეს მოძღვრება უკვდავია და მნიშვნელოვანი დროს მიუხედავად.

ნიცშეს მოძღვრება—მძლავრი პროტესტია ერთ ადგილზე დგომის წინააღმდეგ.

კაცობრიობა, ვწერდით ერთს ჩვენ წერილში, როგორც მთელი ბუნება, კონსერვატიულია. ნაბიჯი წინ ისეთის სიძნელით იდგმება, იმდენ მსხვერპლს თხოულობს, რომ კაცობრიობა ძლიერ უნებურად პატივს სცემს საუკუნოების ტანჯვით შექმნილს. მაგრამ ამ კონსერვატიზმში დაფარულია საშიშროება ცხოვრებისთვის. კონსერვატიზმი იწვევს ცხოვრებას მშვიდობიანობისაკენ, ხავს მოკიდებულ ჭაობისაკენ. თუ წინ არ აუყენეთ კონსერვატიზმს წინ მისწრაფება, ცხოვრება შესდგება და დაჰკარგავს ყოველსავე ინტერესს, რადგან ერთფეროვანი გახდება. აი რისთვის ჰქმნის ბუნება სულით და ნებით მძლავრ ადამიანებს: მათ არ ეშინიათ მსხვერპლისა, მათ გულში ღვივის სიყვარული შორეულ მზისა და იმის მოსაპოვებლად არ შესდგებიან, არ დაინანებენ კაცობრიობის ტანჯვით შექმნილს საუნჯეს: დაამსხვრევენ, რომ მის მაგიერ მისცენ ახალი საუნჯე, უძვირფასესი.

ნიცშეს მოძღვრება—დამსხვრევაა ძველისა; მოწოდებაა წინ სვლისა, შეუდრეკლობისა და სიკვდილისთვის.

„თუ აზრი დამარცხდა, გულწრფელობამ გამარჯვება იდღესასწაულოს,“ ასწავლის ნიცშე. თვით ფილოსოფოსი მსხვერპლი გახდა იდეალებისთვის ბრძოლისა. მწარე ტანჯვის საფასით იყიდა გამარჯვება გულწრფელობისა, და კაცობრიობა სამადლობელოდ ჩასწერს მის სახელს იმ ფიცარზე, რომელზედაც იწერება სისხლის ასოებით წმიდა რწმენისთვის წამებულთა სახელი.

ზ. ჩიტაძე.

---

*) იხ. „ცნობ. ფურ.“ № 2871

ცენზორმა დაიჭირა ივლისის ნომერი ჟურნალ „რუსსკაია მისლ“-ისა, რომელშიაც ყოფილა ლ. ნ. ტოლსტოის წერილი „უდიდესი ცოდვა“-ს სათაურით. („ს. ო.“).

ამომრჩევლობის პროექტი. საზღვარ-გარეთულ გაზეთებში დაბეჭდილა თურმე მინისტრთა კომიტეტის მიერ მოწონებული პროექტი ამომრჩევლობის შესახებ რუსეთში. ასეა ხოლმე რუსეთში: ცენზურის წყალობით ყოველთვის საზღვარ გარეთ უფრო ადრე გაიგებენ ხოლმე. („რ. გ.“).

გუბერნატორის მოკვლის განზრახვა. ალკარსიდან აცნობებენ გაზ. „რუს“-ს, რომ სოფ. ტურკოვის მახლობლად ეტლით მიმავალ გუბერნატორს სამჯერ ზედი-ზედ ესროლეს თოფი, მაგრამ ააცდინეს. მსროლელნი მიმალულან.

აეროსტატი და იაპონელები ურგაში შეუნიშნავთ ძალიან მაღლა მფრინავი აეროსტატი და განცვიფრებულ ხალხს აზრი შეუდგენია, რომ ეს იაპონელების თვალთმაქცობა უნდა იყოსო. („რ.“).

არეულობის მეთაური 60 კომლი მიუყვანიათ ალკარსკში სოფ. მედვეჟეგორსკიდან. („რ. ო.“).

ტელეგრაფისტთა პეტიცია. ეკატერინინის რკინის გზის ტელეგრაფისტებს 22 ივლისს დეპეშით პეტიცია გაუგზავნიათ გზის უფროსისათვის და უთხოვნიათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება. ფიქრობენ იმათაც ისეთი პასუხი მიუვათ, როგორიც ტფილისელებმა მიიღესო. (მ. ვ.).

სახალხო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა. საერთო განათლების სამინისტროს მიუნდვია სახალხო სკოლების მასწავლებელთა საპენსიო კასის გამგის მუტიევისთვის მასწავლებელთა მდგომარეობის გაცნობა ადგილობრივ. მუტიევს შეუკრებია ვილნოს სამოსწავლო ოლქისა და არხანგელის გუბერნიის მასწავლებლებისაგან ცნობები, რომელნიც ნათლად მოწმობენ იმათ გაჭირვებულ მდგომარეობას. მუტიევი ამავე მინდობილებით გაგზავნილია თურმე ორენბურგის ოლქში და შემდეგ კავკასიისა და ოდესის ოლქებში წავა. („რუს.“).

პრესსა

„ბირჟ. ვედ.“-ში მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილი „მუჟიკ“-ისა. ავტორს საუკეთესო საშუალება გამოუნახავს რუსეთის ხაზინის გასამდიდრებლად და ამ სთან სახელმწიფოს საქმეების უკეთ მოსაწყობად. აი, რას გამოგვცემს „მუჟიკი“:

> არის ერთი საშუალება, რომელიც დიდ შეძლებას შეხძენს ხაზინას: ეს არის ბიუროკრატების ჯამაგირების შემცირება. გენერალს უნდა დაენიშნოს თვეში არა უმეტეს 100 მანეთისა (ათის თუმნისა), პოლკოვნიკს—არა უმეტეს 40 მან. პური შეიძლება მიირთვან სალდათებთან ერთად. მუნდირები, ჩექმები და სხვ. მიეცეთ ცეიხჰაუზიდან, როგორც სალდათებს აძლევენ. ეს ჯამაგირები-კი ეყოფათ თეატრებსა და კლუბებში სასიარულოდ. უკეთუ გენერლები საზოგადო ქვაბიდან არ ისურვებენ სადილის მირთმევს, შეიძლება ფულად მეცეს თითოს თვეში 6 მან. მუშა კაცი გენერალზე ბევრსა სჭამს, მაგრამ თვეში 7 მანეთზე მეტი არ ეხარჯება საჭმელ-სასმელში.

„მუჟიკს“ წინადვე უგრძვნია, რომ პასუხს მიმცემენ ამ ჩემ მოსაზრებაზეო და განაგრძობს:

> შეიძლება ეს წერილი ჭკუაში არ მოუვიდეთ ბიუროკრატებს,—მაშინ ჩვენი შვილები შეუშვან იმ სასწავლებლებში, სადაც გენერლებისა და პოლკოვნიკების შვილები იზრდებიან. „მუჟიკებისათვისაც“ მიუცია ღმერთს ხელები, ფეხები, თვალები და თავი. ამათაც შეუძლიანთ მიიღონ იგივე განათლება და დიდის სიამოვნებით დასთანხმდებიან ზემოხსენებულ ჯამაგირს.

დასამტკიცებლად იმისა, რომ გლეხის შვილებიც შეიძლებენ გენერალ-პოლკოვნიკების ვალდებულების ასრულებას, წერილის ავტორი გადაჭრით აცხადებს:

> რუსეთის დამამშვენებელი გლეხობაა და არა თავად-აზნაურობა. გლეხებს შეუძლიანთ უთავად-აზნაუროდ ცხოვრება, თავად-აზნაურებს კი არ შეუძლიანთ უგლეხოდ ცხოვრება.

ამ წერილს „მუჟიკი“ მტკიცე რწმენით ათავებს, რომ ეს პროექტი ამაო ოცნება არ არის და ის თავის დროზე უეჭველად განხორციელდებაო.

> თუმცა თქვენ ამ წერილს ყურადღებასაც არ მიაქცევთ,—განაგრძობს გლეხი,—და სისულელედაც ჩასთვლით, მაგრამ ამ სიტყვებს საერო კრებაზედაც გაიგონებთ და მხოლოდ მაშინ მიაქცევთ ყურადღებასაო.

წერილები

ზემოხვითი (ქართლი). ამ სოფლის გლეხნი დღევანდლამდის ისე იყვნენ მიჩუმებულნი, თითქოს ქვეყანაზედ არ არსებობენო. ახლა ქარმა ამასაც დაჰბერა. ზემოხვითლები შეუერთდნენ ახლო-მახლო მდებარე სოფლის გლეხებს (ნიქოზისას, ქვემო ნიქოზისას და ქვემო-ხვითისას) და დაიწყეს მათთან ერთად საქმის წარმოება. გლეხებმა მოსთხოვეს მემამულეებს დაეთმოთ სახნავი მიწები სამეათედოდ. ტყე, საძოვარი და საწყლისპირო ადგილები უფასოდ. მემამულენი ბოლოს დასთანხმდნენ, ამიტომაც აქ ძალ-მომრეობისა, ადამიანის კვლის, დაწვისა და დანგრევის შემთხვევა არა ყოფილა გლეხების მხრივ. ხალხმა მოსპო ყოველივე კავშირი სოფლის მოხელეებთან და პოლიციელებთან. მოისპო ქურდობა და ძარცვა-გლეჯა. ასეთებს არჩეული კაცები სჯიან.

აქაური.

სოფ. ჩოჩხათი (გურია). უკანასკნელ ერთის თვის განმავლობაში დიდი სიცხეები დაიჭირა; არც ერთხელ არ მოსულა წვიმა და სოფელი გასაჭირში ჩავარდა. გაუჭირდა აგრეთვე სიმინდის ყანებსაც, რომლებიც ძალზედაგვალა. 27 ივლისს მოვიდა დიდი წვიმა ელვა-ქუხილით. წვიმა ხანგრძლივი არა ყოფილა, მაგრამ ისეთი მძლავრი იყო, რომ სამ-ოთხ სოფელს ზარალი მიაყენა. პატარა ღელეები ადიდდა, გადმოვიდა ნაპირებიდან და ბევრი ყანა წაღეკა, გზები გააფუჭა, ბევრგან შინაური პირუტყვიც დაიხრჩო. ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა ჩოჩხათს, ჯურუყვეთს, ჩიბათს და ლანჩხუთს.

სტეფანე

ს. გადიდი (ქვემო იმერეთი). ივნისის დამდეგს სოფ. გადიდში მოხდა სოფლის მცხოვრებთა ყრილობა. ყრილობას არავინ დაჰკლებია. მოილაპარაკეს თავიანთ ჭირ-ვარამზე და შემდეგ შეუდგნენ საბალახო მთის გაწეს-რიგებას. საბალახო ბაჟი შეამცირეს და მასთან მეჯოგეებს განუცხადეს, რომ ყველი მთაზე გაიყიდოს გირვანქა 8 კაპ., სოფლად ჩამოტანილი-კი—10 კაპ. ყველის ფასის დაკლებაზე მეჯოგეებმა უარი განაცხადეს, რადგან ხელს არ გვაძლევს ასეთ ფასში გაყიდვაო, ამისათვის სოფლელებმა მეჯოგეებს ყველის გაყიდვის ნება აღარ მისცეს და აღარც თვითონ მიჰყიდეს რამე, რაც რამ ხჭირდებოდათ მეჯოგეებს.

ი. გადიდელი.

ლელვნი. (იმერეთი). 22 ივლისს ახალციხის მაზრის მთებში იპოვნეს ერთი წლის დაკარგული ლელვნელი იოსებ შარიკაშვილი. იოსები მონადირე იყო. 1904 წელს ივლისის 18-ში იოსები სანადიროდ წასულიყო და თან წაელო ბერდანის თოფი, ხანჯალი და 23 მანეთი ფული. მას აქეთ იგი აღარავის უნახავს. მთელი ორი კვირა ეძება ორასამდე კაცმა, მაგრამ იოსები ვერსად იპოვნეს. წელს იმის გვამს წააწყდა ერთ ერთ უადგილო-ალაგას მისივე მოყვარე. იოსებს ზედ აღარ აღმოაჩნდა აღარც თოფი, აღარც ხანჯალი და აღარც ფული, მხოლოდ ჩოხის ქილაში ზავიალოვის დანა უნახეს. მკვლელები არ იციან, მხოლოდ ეჭვი აქვთ ქურთებზე, რომელნიც სიცოცხლეში ემუქრებოდნენ სიკვდილს.

ზ. შარიკაძე.

გორი. 24 ივლისს ს. ხელთუბნიდან მოდენილა სიმონ კაპანაძე (რომელიც ხილით ვაჭრობს). რომ მოუტანებია ყაზარმების ბოლოს, წვიმისა გამო ნერგს შეჰფარებია, წამოწოლილა და რადგანაც ცოტა ნასვამი ყოფილა, ჩასძინებია. ამ დროს ორი ვაჟ-ბატონი გასჩენია, მისულა, გაუღვიძებია, გადაუყვანია აგურხანაში მოსასვენებლად, ვითომდა გული დასწვია, და ერთი რიგიანი პოლიციური „ობისკი“ მოუხდენიათ. ამოუცლიათ: უბის საათი, 8 მან. და 40 კ. ფულად, ხაზინის წიგნაკი, დანა, ქუდი, ბაშფორთი, ფეხიდან ტუფლები დაუხდიათ და მიმალულან. მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი აღმოაჩინეს და რაც ნაპარავი ჰქონდათ, თვითონვე მიატანინეს. თუმცა ბოდიშს იხდიდნენ, მაგრამ ხალხმა არ აპატია: წაუსვა მური, გაუკრა ხელები ერთს, რადგან მეტი დამნაშავე იყო, მეორეს მოაჰკიდინა ხელი და შემოატარინა გორის ქუჩები. ბევრი აყვირეს: „ჩვენა ვართ ქურდებიო!“ შემდეგ გადაიყვანეს მოედანზედ, გაუხსნეს ხელები, მოჰბანეს იქვე პირი, პირობა ჩამოართვეს და გაუშვეს. ხალხი წყნარად დაიშალა.

ცაცა.

ნაესაკოვის საზოგადოება (სამეგრელო). გაზაფხულის სიომ ამ საზოგადოებაში კარგა ხანია დაჰბერა და აქაური მკვიდრნი გაიტაცა საერთო განახლებამ და გამოფხიზლებამ. სხვებსავით ამ საზოგადოებამაც გასწყვიტა ყოველივე კავშირი ადმინისტრაციასთან და ყოველსავე საქმეს ამხანაგურად არჩევს. კრებები სხვა და სხვა საქმეებზე მოსალაპარაკებლად ხშირად იმართება. სხვათა შორის, კრება მოხდა 26 ივნისს. ამ დღეს ნაესაკოვის საზოგადოების გაუქმებულ კანცელარიას მოაწყდა აუარებელი ხალხი—ნაესაკოვის და გულეკარის საზოგადოებისა. ათას სულზე მეტი იქნებოდა კაცი და ქალი. გამოვიდა რამდენიმე ორატორი და დაიწყო ლაპარაკი. მოულოდნელად ვიღაცამ ამბავი მოიტანა: „ყაზახები მოდიანო“. ამის გაგონებამ ხალხი ძლიერ აღელვა. ყველანი ყაზახ-რუსებისკენ გაემართნენ. მაგრამ ამათ უკან გაუხვიეს. ხალხი დაბრუნდა და ორატორებმაც განაგრძეს სიტყვები. შეეხნენ ქურდებსაც, ბანქოს მოთამაშეთაც და ლოთებსაც. ხალხმა იგრიალა: „ბოიკოტი ქურდს, ბანქოს მოთამაშეს და ლოთსო“. ამით გათავდა კრება.

ეწერელი ევგენი

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის მე-2887 ნომერში, „სამეგრელოის სამღვდელოების კრების დადგენილებაში“, სხვათა შორის, მოხსენებული იყო შემდეგი: სამღვდელოებისათვის დაარსდეს ერთი ქართული ორგანო, რომლისათვისაც მღვდელ-მონაზონს ალექსი შუშანიას აღუთქვამს საჭირო თანხის შეწირვაო. მე მივწერე წერილი მღ. გიორგი გამხარიას, რომ თუ დაარსებთ საკუთარს სასულიერო ორგანოს, მაშინ ორ ჩემ მდიდარ მოწაფის საშუალებით საჭირო თანხას მოგაწოდებთ-მეთქი. მე არ მიცნობებია ჩემ საკუთარ ფულის შეწირვა, რადგან არა მაქვს და დღიურ სარჩოსაც ძლივ ვახერხებ, ხოლო სხვის ქველობას ჩემს სახელს ვერ მივაწერ.

მღვ.-მონაზონი ალექსი შუშანია.

II

ბატონო რედაქტორო!

„ცნობის ფურცლის“ მე-2863 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია სამებიდან, რომელსაც კორესპონდენტი ჩემს ფსევდონიმს „შუბნელს“ აწერს. ვსთხოვ რედაქციას დაამოწმოს, რომ ხსენებული კორესპონდენცია ჩემი გამოგზავნილი არ არის. *).

ა. წითლიძე.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 ივლისი

პორტ-სმუტი, 28 ივლისი. დღეს ვიტტემ ჩააბარა, დილის სხდომაზე, კომურას ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია განცვიფრება კომურას მიერ მინდობილებათა არ წარდგენისთვის გუშინდელ სხდომაზე. ამის შემდეგ იაპონელებმა ჩააბარეს რუსებს წერილობითი პირობები ზავისა. გადაწყდა, რომ რუსები სჯა-ბაასს იქონიებენ და წერილობითს პასუხს მოამზადებენ; მანამდე სხდომა გადადებულია.

ტოკიო, 28 ივლისი. იუწყებიან, რომ კამჩატკის და ოხოტსკის ახლოს მდგომი ესკადრები იმის ცდაში არიან, თუ როგორ განახორციელონ თავიანთი მიზანი.

პორტ-სმუტი, 28 ივლისი. ინგლისის მერმა ბანკეტი გამართა ქალაქის რატუშაში ფრანგ-ოფიცერთა პატივსაცემლად. საადმირალო ფრანგების 1000-ს უნტერ-ოფიცერს გაუმასპინძლდა.

პორტ-სმუტი, 28 ივლისი. დილის სხდომა გათავდა 2 ს. და 45 წ., რის შემდეგ რწმუნებულნი გაემგზავრნენ სასადილოში საუზმისათვის, იაპონელებმა ზავის პირობები სხდომის ბოლოს წარუდგინეს. კომურამ ორი ცალი პირობა გადასცა ვიტტეს—ერთი რუსულ ენაზე დაბეჭდილი, მეორე ფრანგულზე; ვიტტემ ორივე ჯიბეში ჩაიდო. ამის შემდეგ სხდომა დაიხურა. სხდომას მეგობრული ხასიათი ჰქონდა. ვიტტეს მიერ კომურასადმი წარდგენილი ნოტა პირობების წარდგენის დაგვიანების შესახებ ოქმში იქმნა შეტანილი. რუსის რწმუნებულთ შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოსცეს: „დღევანდელ სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა საკითხი რწმუნებათა შესახებ, რის შემდეგ იაპონიის რწმუნებულთ ჩააბარეს რუსებს ზავის წერილობითი პირობანი. გადაწყვეტილია, რომ რუსები შეუდგებიან პირობების განხილვას და, რაც შეიძლება ჩქარა, გასცემენ იაპონელებს პასუხს. სხდომა გადაიდო. ტოკიოელი პროფესორი ტაკასაგი, რომელსაც სატოსთან ჰქონია ბაასი, იუწყება: იაპონია ითხოვს მანჯურიის დაცლას, სახალინისა და ვლადივოსტოკის დათმობას და 2,000 გირ. სტერლ. კონტრიბუციას, თუმცა ამ პირობების შემსუბუქებაც შეიძლებაო. კონფერენციას ხელ-შეკრულობა მოჰყვება, რადგანაც რუსეთს უნდა დაუთმოსო, მაგრამ მოლაპარაკება შესაძლებელია გაგრძელდეს.

კოსტრომა. საგუბერნიო საერობო საგანგებო კრების ნება არ მისცეს.

კიშინევი, სოროკის მაზრის ინსპექტორმა მიწერილობა გაუგზავნა, თანხმად ადგილის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებისა, სახალხო მასწავლებლებს, ნებას ნუ მისცემთ ნურავის კრებები გამართონ იქვენდამი რწმუნებულ სკოლების დარბაზებში, თუ ნებართვა არ ექნებათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტა. სიმშილობა დაიწყო. მცხოვრებლები დახმარებას ითხოვენ.

მოსკოვი. რუზის მაზრაში გაიმართება გლეხების ყრილობები, სადაც თ. დოლგორუკოვი განუმარტებს გლეხებს ხალხის წარმომადგენლობის მნიშვნელობას.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 ივლისი.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან 27 ივლისს არ მოსულა ოფიციალური ცნობები.—იმ კომისიის მომავალ სხდომაზე, რომელიც პორტ-არტურის ჩაბარების საქმეებს იძიებს, ჩვენებას ჩამოართმევენ სტესსელს. სტესსელის დანაშაულობის საკითხს მხოლოდ სასამართლო გადასწყვეტს თუ უმაღლესი ნება-რთვა იქნება, რაც, ალბად, წელიწად ნახევრის შემდეგ იქნება.

პარიზი. აქ გავრცელებულია პესიმისტური აზრი პორტ-სმუტის კონფერენციის შესახებ, ვინაიდან იაპონელების მოთხოვნება უზომოა, მეტადრე სამხედრო ხარჯის საზღაურიო.—ჩინეთის სასახლემ საიდუმლო ცირკულიარები დაუგზავნა თავის წარმომადგენლებს საზღვარ გარეთ, შეგვატყობინეთ უცხოელ კაბინეტების აზრი რუსეთ-იაპონიის შორის ზავის მიმდინარეობის და ჩრდილოეთის სამ პროვინციის საკითხის შესახებო. მუკდენის ჩინელმა პრეფექტმა წინადადება მისცა იაპონიელებს, რომელთაც მუკდენი უჭირავთ, ჩამოხსენით თქვენი ბაირაღი, ვინაიდგან, პროვინცია ჩინეთს ეკუთვნისო.

სეული. კორეიელები აჯანყებას ემუქრებიან იაპონელებს, რადგანაც უკანასკნელებმა მთლად წაიღეს რაც ბრინჯი იყო; ჩრდილოეთის პროვინციებში არეულობა უკვე დაიწყო, იაპონიის გენ.-გუბერნატორმა ჯარები გაჰგზავნა იქითკენ.

პეტერბურგი. პეტერბურგში მყოფმა პავლე დოლგორუკოვმა აცნობა მოსკოვის გუბერნიის საერობო სამმართველოს, საიდუმლო წყაროდან ვიცი, რომ სახელმწიფო სათათბიროს პროექტი ხელ-მოწერილია და 30 ივლისს გამოქვეყნდებაო.—დაარსდა საგანგებო კომისია უმაღლეს დიდებულთაგან, რომელთაც სახალხო წარმომადგენლობის გამოქვეყნების შესახები აქტი უნდა შეადგინონ.

პეტერბურგი. როგორც იასნაია პოლიანიდან მოსული პირი იუწყება, ტოლსტოი ძლიერ კარგად არის და ისევ ისე უცქერის რევოლუციონურ მოძრაობას რუსეთში და გაიძახის, პროგრესის წარმატება დამყარებულია თვითეულ ადამიანის შინაგან თვით-წარმატებაზეო. პეტერბურგის საქალაქო სამმართველოს მოსამსახურეთ ერთხმად გადასწყვიტეს გამოძიებულ იქნას სამმართველოში საქმეები, რათა აღმოჩენილ იქნას დამნაშავენი, რომელნიც საჯაროდ განისჯებიან სისხლის სამართლის კანონითო.

---

*) რედაქცია ამოწმებს, რომ კორესპონდენცია სამებიდან ბ-ნ წითლიძეს არ ეკუთვნის. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხეებისაგან მიღება, ვალამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 14[illegible] (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტელნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 იაქოფიისა. (30—16)

ბებია ქალი

ოლღა ილიას ასული გელბორდტ ლოკში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—11)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში—20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა—20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა 20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა უთვალავი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე. (20—19)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—21)

ფრიად საინტერესო და საყურადღებო

ახალი რომანი

„ცხოვრება და სიყვარული“

ავტორის სურათით, წინასიტყვაობით: მოკლე, ბიოგრაფიულ და საპასუხო კრიტიკულ წერილით ბ. ფ. გოგიჩაიშვილის მიმართ. წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთათ, მაგრად შეკერილი, შეიცავს 120 გვერდს და გაგზავნით ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქვე იყიდება „ლექსები და პოემები“ და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან: „ვარინკას ამბავი“. თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზი. აგრეთვე 1902, 1903 და 1904 სრული წლების „ცნ. ფურცელი“ ყდაში მიცემულის დამატებით და შინაარსის აღწერით. თითო წლის მხოლოდ 4 მანეთი. შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიჰმართონ სადგურ მიხაილოვში ბათუმის მხრივ ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Михайлово, кас. Чархишвили. (2—1)

იყიდება

სახლი ერთ სართულიანი ხუთი ოთახით 120 კვ. საჟენი, ნაძალადევი ვოდოპროვოდის ქუჩა № 165.

(3—3) ნ. მაკაცარია.

ტფილისის საეპარქიო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლე-კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის, სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—18)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეს. (24—15)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. მ. კ.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პეტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ყვანჩულოვისა	1 —

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—13)

Доз. ценз. Тифлисъ, 29 Іюль 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა